ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 22 მაისი 2006 №114 (2736) ფასი 50 თეთრი

ალალ, სიხარული ავიავ-შენი

ჩემპიონის მწვრთნელი ხომ მოსეა: თავისიანები მიზანთან მიჰყავს



ორი ფინალი არსებობის ორ წელიწადში — „თბილავიამშენს“ ორი ცდა ეყო საჩემპიონოდ! რუსთავში „აზოტთან“ ზედიზედ ორჯერ, თან ჯამში 44 ქულით დამარცხების და ფინალურ სერიაში ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ლევან მოსეშვილის გუნდმა გადაპირთავსებულ ვერის ბაღში, მეხუთე და გადამწყვეტ ჯახში 20 ქულით დაჯაბნა მეტოქე. „აზოტმა“ კი კვლავ გაუშვა ხელიდან რუსთავის გაბედნიერების შანსი — მანამდე ორჯერ „ვითასთან“ და ერთხელ „ბასკოსთან“ წაგების შემდეგ ეს რუსთაველთა მეოთხე წაგებული ფინალია ბოლო ცხრა წელიწადში.

მესამე ადგილისთვის სტუდენტურ „გარჩევაში“ კი „თსუ-ნიკორამ“ მარადმოქიშპე სტუ 3:2 დაამარცხა და პირველად მოიპოვა ეროვნული ბრინჯაო.

ახტუნგ! 10 ჰენდეპოხი ნამეტანია

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები სლოვაკეთში ფიასკოს აგრძელებს. თურქეთთან 0:6 წაგებას გუშინ მასპინძელ სლოვაკეთთან 1:4 მიაყოლა და... რის ფინალურ ეტაპზე გასვლა...

ბოლო ტურში ჰაინც ტოპმიოლერის გუნდი ირლანდიელებს ხვდება, მაგრამ ამ თამაშს არანაირი აზრი აღარ აქვს — მოგების შემთხვევაში არაფრისმომცემ მესამე ადგილზე გავალთ და ეგაა.

ქართველებმა დებიუტშივე გაუშვეს ორი გოლი, ამას მოჰყვა ბექა გოცირიძის გაცუდებული პენალტი, 76-ე წუთზე რატი წინამძღვრიშვილმა დამატებაზეღა გაიტანა 11-მეტრიანი, გაიტანა, რითაც ჩვენებს იმედი კი მიეცათ, მაგრამ დარჩენილ დროში აქეთ გაუშვეს ორი გოლი. 10 გაშვებული გოლი ორ თამაშში — ბევრია კი არა, ძალიან ბევრია...

NEWS-ლაპარაკები

წუხელ ევრომედიამ „რეალის“ სავარაუდო მწვრთნელად მიქაელ ლაუდრუპიც ახსენა

ლიპი: სერიას ელეგანტური და სკანდალური ტყლიპი



იტალიურ ფეხბურთში ატეხილი სკანდალი ისე გამძაფრდა, ზოგიერთი გაზეთი მარჩელო ლიპის მოხსნასაც კი ითხოვს. „ელ მანიფეტომ“ „სკუადრა აძურას“ თავკაცის გაშვება მოითხოვა, თუ არა, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენს მეტოქეებს, განას, ჩეხეთს და ამერიკას ვუქომაგებთ, რადგან ლიპის მთლად სუფთა ხელები არ უნდა ჰქონდეს და ასეთი მწვრთნელით მუნდიალზე წასვლა იტალიური ფეხბურთის პრესტიჟზე უარყოფად იმოქმედებსო.

ხვალინდელ სარბიელში

ბაჩო სვანიძის ექსკლუზიური ინტერვიუ

ჩოგბურთის ულამაზესი ლეგენდა და დედოფალი კრის ევერტი:

... ჩვენი თაობის ჩოგბურთი უფრო საინტერესო იყო. ახლა აღარ არის თაობათა დაპირისპირება. წარმოიდგინეთ, ჩემი და ნავრატილოვას მატჩები რომ არ ყოფილიყო...

... ანა ტატიშვილი ჩვენს აკადემიაში მოსვლის პირველივე დღიდან მახსოვს. ფუმფულა გოგო იყო, ძალიან ბავშვური იერით. რომ მითხრეს, ჯორჯიიდან არისო, თავიდან შტატი მეგონა...

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპი
სლოვაკეთი. 19-23 მაისი

გიორგი კეთილაძის ფოტო

ისევ ორიანი!

ქართველების ღია კარის დღეობა სლოვაკეთში

პარტიზანსკე. 21 მაისი. 13 საათი. ტემპერ. 900 მაყურებელი

სლოვაკეთი 4:1 საქართველო

1:0 დუბეკი (7), 2:0 მრაზი (23), 2:1 წინამძღვრიშვილი (76), 3:1 პეტოვსკი (81), 4:1 მრაზი (90)

გოცირიძემ ჯერ გაიტანა პენალტი (43, მეკარე)

წინამძღვრიშვილმა ჯერ გაიტანა პენალტი (76, მეკარე)

სლოვაკეთი:	საქართველო:
კამენარი, ბელანიკი, კრაინიკი, სიმონჩიჩი, გრენდელი, დუბეკი, კუზმა (პეტოვსკი 46), პანცელი, მრაზი, დუოგანი, კონჩიტიკი	რევიშვილი, თომაშვილი (ბუნაშვილი 46), განუგრავა, ს. კობახიძე, ბეალავა, მჭედლიშვილი (ვ. კვარაცხელია 78), გოცირიძე, წინამძღვრიშვილი, გვაძაბია (კვანტალიანი 80), ხოხონიშვილი, კახელიშვილი
სათადარიგონი: ტროსო; კოსიცკი, ტარეკი, აუგუსტინი, ჰნილიცი, ტოტი	*სათადარიგონი:* თევდორაძე; ხიდეშელი, ჩირიკაშვილი, მაილაშვილი
მწვრთნელი: სტანისლავ ბარანი	მწვრთნელი: ჰაინც ტოპმიოლერი

გაფრთხილება: პანცელი, ბელანიკი, ხოხონიშვილი, განუგრავა, ბეალავა, მჭედლიშვილი, განუგრავა, გოცირიძე, რევიშვილი, მრაზი

გაძევება: განუგრავა (65), მრაზი (90)

მსაჯი: ეგოროვი (რუსეთი)

ესეც 10 — საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ორ მატჩში უკვე ათჯერ დაიბომბა, ისევ პანტაპუნტით ცვიოდა ბურთები ნუკრი რევიშვილის კარში და ამდენ ანტირეკორდს კიდევ ის დაემატა, რომ შვიდი ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მიიღეს ჰაინც ტოპმიოლერის ბიჭებმა.

თურქეთთან კოშმარული 0:6-ის შემდეგ ქართველთა გერმანელმა მწვრთნელმა ძირითად შემადგენლობაში სამი ცვლილება მოახდინა: გიორგი ხიდეშელის ნაცვლად დაცვის ცენტრში ზურაბ გვაძაბია, ირაკლი ჩირიკაშვილის ნაცვლად თავდასხმაში ბექა გოცირიძე, ხოლო ალექსი ბენაშვილის ნაცვლად მარჯვენა ნახევარმცველად დავით მჭედლიშვილი დააყენა. სარგებელი? კი, ბატონო, ექვსს ავცდით და ოთხი გავუშვით, ერთი კინკილა ბურთი კი ძლივძლივობით, წვალებ-ჯახირით გავიტანეთ — რუსმა მსაჯმა ორჯერ დადო პენალტი სლოვაკების კარში, 43-ე წუთზე ბექა გოცირიძემ თავისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანიდან მეკარეს გაარტყა 76-ე წუთზე კი ბენაშვილმა მეკარესთან პირისპირ გაიყვანა სანდრო კობახიძე, რომელიც წააქციეს და ისევ პენალტი — ამჯერად რატი წინამძღვრიშვილს აუღო სლოვაკთა გოლკიპერმა, თუმც „ამერის“ ფორვარდმა დამატებაზე ივარგა.

თამაშის დასაწყისი კი ზუსტად „თურქული“ გამოდგა, ნახევარ საათში ინტრიგა უკვე დაკარგული იყო: მე-7 წუთზე სლოვაკთა კაპიტანმა დუბეკმა ფლანგიდან ჩაწოდების მერე იხეირა, 23-ე წუთზე კი კუზმას პასით მრაზიმ 2:0 გახადა ანგარიში. ტაიმის ბოლოს ქართველები კი გააქტიურებულან, მაგრამ მხოლოდ გიორგი კახელიშვილს ჰქონდა საგოლე მომენტი, ხოლო გოცირიძის პენალტზე უკვე ვთქვით.

შესვენების შემდეგ ჰაინც ტოპმიოლერმა გიორგი განუგრავა ცენტრალურ მცველად დაწია, ბენაშვილი მარჯვენა შემტევად გამოიყვანა, ყველაზე უცნაური კი კახელიშვილის საყრდენ ნახევარმცველად დაყენება იყო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ცნობით, ქართველები უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა დერეფანს ვერ პოულობდნენ. 65-ე წუთზე კი ისედაც უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნაკრებს განუგრავას მეორედ გაფრთხილება და გაძევება დაემატა, თუმცა ამ მომენტიდან 10 წუთში იყო, რატი წინამძღვრიშვილმა რომ ანგარიში შეამცირა — 1:2.

თითქოს შანსი გაჩნდა და უფროსმა ტოპმიოლერმაც მჭედლიშვილის ნაცვლად კიდევ ერთი ფორვარდი, ვახტანგ კვარაცხელია გაიყვანა, ვისაც მალევე კარგი მომენტი გაუფუჭდა და აქ დამთავრდა ყველაფერი: ჯერ პეტოვსკიმ, ბოლო წუთზე კი მრაზიმ სამბურთიანი მარცხი აგემეს ქართველებს — 4:1.

10 გოლი ორ თამაშში მართლაც მეტისმეტია და ნეტავ, რას გვიმზადებს ირლანდია? ბოლო ტურში არც ბრიტანელებს და არც ჩვენიანებს ზედმეტი ნერვიულობა არ მოუწევთ, ერთი მატჩი არაფრისმომცემი მესამე ადგილისთვის, თუმცა გული აქაც ცუდს გვიგრძნობს — ქართველებისგან განსხვავებით, ირლანდიელებმა მოკრძალებით ანგარიშებით წააგეს სლოვაკეთთანაც და თურქეთთანაც.

ილია ნანოგაყვილი

თურქეთი 3:1 ირლანდია

თურქეთი	2	2	0	0	9:1	6
სლოვაკეთი	2	2	0	0	7:3	6
ირლანდია	2	0	0	2	3:6	0
საქართველო	2	0	0	2	1:10	0

ქანდაში დანაქაღნი

ეროვნულზე ბალახიც ეროვნული იქნება

ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ახალ დირექტორად სპორტსაზოგადოება „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი ირაკლი მეძმარიაშვილი, რომ დაინიშნა, გეცოდინებათ. მას სტადიონზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ სიახლეები გამოვკითხეთ...

ბადრი კეთილაძის ფოტო

— რა სტადიაზეა სარემონტო სამუშაოები?

— ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანაა. ყველაფრის ოფიციალურად გაფორმება ხდება — მათ შორის საბანკო ანგარიშებისაც. არადა, ამ მხრივ გარკვეული პრობლემები იყო და „ეროვნულის“ ანგარიშებს ყადაღა ედო. ამას გარდა, მოგეხსენებათ, სტადიონის დირექტორად დავინიშნე და ესეც ოფიციალურად არის დასარეგისტრირებელი.

— უშუალოდ სტადიონზე როგორ არის საქმე?

— მაისის ბოლომდე ბეტონის სამუშაოები აუცილებლად უნდა დავასრულოთ. ბუნებრივია, პარალელურად სხვა მიმართულებებითაც მიმდინარეობს მუშაობა.

— მათ შორის მინდვრის საფართან დაკავშირებითაც?

— გუშინ ვიყავი ქანდაში და პირდაპირ გეტყვით, ნანახით გაოცებული დავრჩი. უმაღლესი ხარისხის მინდვრის საფარია და ეს თურქმა და გერმანელმა ექსპერტებმაც დამიდასტურეს, რომლებსაც იქვე ვესაუბრე. ქანდის სამინდვრე მეურნეობა ქართულ-რუსულ-თურქული წარმოებაა და თურქული მხარის წარმომადგენელმა მითხრა, ამ ბალახით ათჯერ უკეთეს მოედანს გავაკეთებთ „ეროვნულზე“, ვიდრე „ბეშიქთაშის“ სტადიონზე გავაკეთეთ.

— შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „ეროვნულზე“ ბალახიც „ეროვნული“ იქნება?

— გადაწყვეტილია, რომ ქანდის საფარს დავაგებთ. იყო თურქული ვარიანტი, მაგრამ სანამ საფარს მაცივარ-რეფრეჟერატორით თბილისამდე ჩამოვიტანთ, არავინ იცის, რა მდგომარეობაში იქნება. „ქართული ბალახის“ სასარგებლოდ ერთბაშად რამდენიმე გარემოებამ მიგვაღებინა გადაწყვეტილება.

გიორგი ნოზაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

ისლანდია
პრემიერლიგიზიონი. II ტური

ფილკირი — გრინდავიკი 2:1; კეფლავიკი — ვიკინგური 2:1; ბრეიდაბლიკი — ვესტმანაეიარი 4:1; აკრანესი — რეიკიავიკი 1:2; ვალიური — ჰაფნარფიორდური 0:2

ირლანდია
პრემიერლიგიზიონი. XI ტური

დროჰედა — უოტერფორდი 4:0; შელბურნი — ბოჰემიანსი 2:0; დერი — კორკი 2:0. დუბლინ სიტი — დუბლინი დღეს გაიმართება, ლონგფორდი — სენტ ჰატრიკსი და ბრეი — სლიგო გადაიდო

ამხანაგური მატჩები

სლოვაკეთი 1:1 ბელგია

შრუგვაი 1:0 ჩრდილოეთ ირლანდია

მექსიკა — საუდის არაბეთი გადაიდო

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს



ბაგრატ III-ის სტადიონი

ბატონო პრეზიდენტო! გთხოვთ, გადაარჩინოთ გურული ფეხბურთი, გადაარჩინოთ გაუქმებას საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „გურია“. ისტორიით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ მცირედი ექსკურსი მაინც გვინდა, გავაკეთოთ. 1926 წლის სექტემბერში სულმნათმა ანდრო ჟორდანიამ ოფიციალურად ჩამოაყალიბა ლანჩხუთის საფეხბურთო გუნდი და ამით დასაბამი მისცა ლანჩხუთის „გურიას“ სახელოვან ისტორიას, ისტორიას გუნდისა, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში. სხვადასხვა დროს, მეტ-ნაკლები წარმატებით, ქართული ფეხბურთის ფლაგმანის, თბილისის „დინამოს“ რიგებში გამოდიოდა ლანჩხუთის „გურიას“ აღზრდილი 36 ფეხბურთელი. ასევე სხვადასხვა რეგიონის 65-მა ფეხბურთელმა საფეხბურთო დავაჟკაცებას მიაღწია ლანჩხუთში და ისინი შემდეგ გახდნენ თბილისის „დინამოს“ წევრები. ლანჩხუთის ფეხბურთის აღზრდილნი არიან: საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი რამაზ ურუშაძე, საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და ტაშკენტის „ოქროს მატჩის“ ტრიუმფატორი ილია დათუნაშვილი, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი წლების მანძილზე ზორბეგ ებრალიძე, ევროპის თასის მფლობელთა თასის მფლობელი გია თავაძე, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი თემურ ჩხაიძე და მრავალი სხვა. ხოლო რაც შეეხება გასული საუკუნის 80-იანი წლების ლანჩხუთის „გურიას“ ორჯერ გადასვლას საკავშირო უმაღლეს ლიგაში, ამ ფენომენს დღემდე ვერ მოუძებნეს ახსნა. მსოფლიოს საფეხბურთო ისტორიაში ასეთ ფაქტს ანალოგი არ აქვს. პატარა რაიონის საფეხბურთო კლუბი წარმატებით უწევდა მეტოქეობას მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და სხვა მეგაპოლისების გუნდებს. უნდა გავიხსენოთ იმდროინდელი გუნდის ღრმა პატრიოტიზმიც, როცა დადგა საკითხი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებისა, ამ იდეას პირველმა მხარი ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელებმა დაუჭირეს და უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობის გზაზე შედგომაში.

ბატონო პრეზიდენტო! სამწუხაროდ, ეს ყველაფერი უკვე ლამაზი ისტორიაა. დღეს ლანჩხუთის „გურიას“ სამართალმემკვიდრე გახლავთ შ.პ.ს. „ლანჩხუთის გურია-2000“, რომლის დამფუძნებელი გახლავთ ქონებისა და საწარმოთა მართვის სააგენტო. კლუბის ქონების 100 პროცენტის მფლობელია სახელმწიფო. თითქოსდა ყველაფერი წესრიგშია, კლუბს ჰყავს მფლობელი და გააჩნია სახელმწიფოს გარანტია, მაგრამ... დღევანდელი „გურიას“ კეთილდღეობა დამოკიდებულია რამდენიმე უსახსრო ენთუზიასტზე, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ გუნდის კეთილდღეობისათვის, მაგრამ მათი ქმედება ზღვაში წვეთია. კლუბის ნორმალური ფუნქციონირებისათვის წლიურად საჭიროა 130-150 ათასი ლარი, ეს იმ დროს, როცა ჩვენს სინამდვილეში არიან კლუბები, რომელთა ბიუჯეტი რამდენჯერმე აღემატება ჩვენსას, შედეგებით სატრაბახო კი ნამდვილად არაფერი აქვთ. კლუბის ბალანსზე ირიცხება 25 000-იანი სტადიონი და სპორტული ბაზა შავი ზღვის პირზე, რაც ყოველდღიურად ნადგურდება ადგილობრივი ვანდალების მიერ. არადა, რა უნდა გააკეთოს აღნიშნული ობიექტების მცირერიცხოვანმა პერსონალმა, როცა მათ წლების მანძილზე შრომის ანაზღაურება არ მიუღიათ. თვითონ გუნდი საფეხბურთო პოტენციალით ბევრად აღემატება ჩვენში მრავალ „სახელგანთქმულ“ გუნდს. ვერ გაგვიგია, ნუთუ არავის აინტერესებს ისეთი გუნდის ამბავი, რომელიც მხოლოდ ადგილობრივი კადრებით არის დაკომპლექტებული?! გუნდი, სადაც ფეხბურთელები ბოლო წლის მანძილზე ანაზღაურების გარეშე თამაშობენ, გუნდი, რომლის აღზრდილებით სავსეა სხვა გუნდების შემადგენლობანი და თბილისის ბავშვთა საფეხბურთო კლუბები. ბოლო ორი წლის მანძილზე არ დაგვიტოვებია არც ერთი ინსტანცია, რომლისთვისაც თხოვნით არ მიგვემართოს, არც კერძო ბიზნესს ვაკლებთ ამ მხრივ „ყურადღებას“, მაგრამ ყველაფერი უშედეგოა. როგორც კი გაიგებენ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ სახელმწიფო შ.პ.ს.-ს ყველა როგორც კეთროვანს, ისე გვერიდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ლიგა შეძლებისდაგვარად გვეხმარებიან, მაგრამ მათ არც ძალუძთ და არც ევალებათ, რომელიმე ერთი კლუბის პრობლემები მთლიანად გადაწყვიტონ.

ბატონო პრეზიდენტო! ლანჩხუთის „გურია“ თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლის. ასეთი ისტორიის, განვითარებული ინფრასტრუქტურის და საფეხბურთო პოტენციალის მქონე გუნდი ფაქტობრივად აღარ არსებობს. ლანჩხუთის „გურიას“ დაშლა, დაგვერწმუნეთ, უდიდეს დარტყმას მიაყენებს მთელ ქართულ ფეხბურთს. არადა, ეს ყველაფერი ხდება რაღაც 130-150 ათასი ლარის გამო. ეს თანხა სათანადო მონდომების და სურვილის შემთხვევაში ნამდვილად მოინახება ისეთი მწირი ბიუჯეტის მქონე რაიონშიც კი, როგორიცაა ლანჩხუთი. ჩვენ „თეთრი“ შურით ვუყურებთ და გვეხარბება ისეთი გუნდებისა, როგორიცაა ბოლნისის, ბორჯომის, საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურის, რუსთავის, ახალციხის, აგარის და სხვა მრავალი გუნდი, რომლებსაც გვერდში უდგანან რაიონების გამგებლობები. თუ ამ რეგიონებში მათი დახმარება ფეხბურთისადმი არ არის დანაშაული, რატომ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად ეს ლანჩხუთში? მართალია, ჩვენი რაიონი არ მიეკუთვნება დალხინებულ რეგიონთა რიგს, მაგრამ თუ არა ფეხბურთი, რა უნდა იყოს ჩვენს რაიონში პრიორიტეტული. რაიონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა უკანასკნელი წლების მანძილზე ნამდვილად ვერ გადაწყვეტს შექმნილ პრობლემებს. საფეხბურთო კლუბი, სადაც 30 ფეხბურთელის გარდა დასაქმებულნი არიან სპორტული ბაზის, სტადიონისა და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის თანამშრომლები, რომლებსაც ბოლო წლის მანძილზე ხელფასი არ მიუღიათ, კლუბი, რომელმაც გააჩნია განვითარებული საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, კლუბი, რომელსაც ჰყავს 17-18 წლის ბიჭებით დაკომპლექტებული მეორე გუნდი, კლუბი, რომლის ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში ოსტატობას იმაღლებს 300 ბავშვი, კლუბი, რომელსაც მიმდინარე წელს უსრულდება დაარსების 80 წელი, ნამდვილად არ იმსახურებს ამგვარ დასასრულს.

მავანნი და მავანნი გვაძლევენ დემაგოგიურ კითხვას: რას აძლევს ფეხბურთი კომერციის კუთხით რაიონს? ვპასუხობთ: იმასვე, რასაც აძლევს ადამიანებს თეატრი, კინო, ბიბლიოთეკა, სკოლები — აძლევს სიხარულს, ჯანმრთელობას, განათლებას, ბავშვების სწორ გზაზე დაყენებას და მათ პატიოსან ადამიანებად ჩამოყალიბების საშუალებას. ნუთუ ეს ცოტაა?! ნუთუ ეს არ ღირს 150 ათასი ლარი?! ყველაფერი ხომ „ფულით“ არ ზომავ-ება?!

გვეკითხებიან, რა გინდათ ფეხბურთში, როცა ფული არა გაქვთ? საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ჩვენ კი არა ვართ ფეხბურთში, არამედ ფეხბურთი არის ჩვენში. ლანჩხუთში ფეხბურთი მარტო ბურთის გორება არ არის, ეს ლანჩხუთელების ცხოვრების წესია და, სამწუხაროდ, ამჟამად არის საშიშროება ამ წესის მოშლისა.

ბატონო პრეზიდენტო! ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენი კეთილი ნება, სიყვარული ფეხბურთისადმი, თქვენთან ჩვენი ხუთწუთიანი აუდიენცია, ან თქვენი ერთი სიტყვა ყველა არსებულ პრობლემას მყისვე მოხსნის. ჩვენი მხრიდან კი პირობას გაძლევთ, რომ გურულები ერთხელ კიდევ გადარჩენენ „მთელ დუნიას“ და ლანჩხუთის „გურია“ კიდევ მრავალი წელი იქნება ქართული ფეხბურთის სამსახურში.

პატივისცემით, ლანჩხუთის „გურიას“ ფეხბურთელების და ლანჩხუთელი გულშემატკივრების დავალებით, შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ დირექტორი

ლურმიშხან ჩხაიძე

P.S. ბატონო პრეზიდენტო! ჩვენი ღრმა რწმენით, სანამ გურიის, სამეგრელოს, იმერეთის რეგიონებში ფეხბურთი არ გახდება პრიორიტეტული და არ მიექცევა განსაკუთრებული ყურადღება, ქართული ფეხბურთის წინაშე მუდამ იქნება სირთულეები. ფეხბურთი ხომ მაინც მკვირცხლი ქართველების სათამაშო სახეობაა...

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო
და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან
მაგთიზე და ჯეოსელზე
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)
25 თეთრად

საქართველოს რეგიონებში
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)
12 თეთრად

დროის
წამობრივი
აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

ნებისმიერ გუნდში მოიძებნება ფეხბურთელი, რომელთანაც ამ გუნდს აიგივებენ ხოლმე. ოთხი წლის „ამერის“ ვინმესთან გაიგივებაზე საუბარი ალბათ ნაადრევია, მაგრამ თუკი მაინც ვინმეს ეკუთვნის ამგვარი როლი საქართველოს თასის მფლობელთა შემადგენლობიდან, მისი კაპიტანია — „ამერის“ ისტორიაში პირველი შეხვედრის მონაწილე **გიორგი დავითნიძე.** სხვათა შორის, „ჯორჯომ“ კაპიტნობა დღევანდელი მთავარი მწვრთნელის, გიორგი ჩიხრაძისგან გადაიბარა...



ბურაბ დოლაბერიძის ფოტო

ავიდე და დავარტყი!

დავითნიძეს ოცნებისთვის არ სცალია: შრომობს

— როგორ გრძნობს თავს საქართველოს თასის მფლობელი გუნდის კაპიტანი?

— ჩვეულებრივად. ემოციებმა გადაიარა და დაახლოებით ისევე, როგორც სხვა სეზონების დასრულების შემდეგ, ვისვენებ და თან ახალი სეზონისთვის ვემზადები. განსხვავება ალბათ ის არის, რომ სეზონს უფრო ადრე და უფრო საპასუხისმგებლო — უეფას თასის შეხვედრებით ვიწყებთ.

— „ზესტაფონთან“ ფინალური მატჩის ვიდეოფირი ხომ არ გინახავს, რომ ქომაგის თვალით შეაფასო შეხვედრა?

— სრული ჩანაწერი არა, მხოლოდ ის მომენტები ვნახე, სატელევიზიო სიუჟეტებში რომ გავიდა.

— მაშინ მოედანზე მყოფი ფეხბურთელის თვალით შეგვიფასე — ბევრის აზრით, ეს საქართველოს თასის ერთ-ერთი საუკეთესო ფინალი იყო.

— იმდენად დაძაბული შეხვედრა იყო, ნამდვილად ვერ ვაქცევდით ყურადღებას თამაშის ხარისხს. ვერ ვიტყვი, რომ ხარისხი მაინცდამაინც მაღალი იყო. ალბათ ქომაგიც უფრო დაძაბული თამაშიდან და ბოლო წუთამდე ბრძოლიდან გამომდინარე დაგვრჩა კმაყოფილი.

— გავცდეთ ფინალს: რამდენი ხანია, რაც „ამერში“ ხარ და როდის მერე გაგყავს გუნდი მოედანზე კაპიტნის რანგში?

— რაც „ამერი“ დაარსდა, გუნდში ვარ, აქედან ორწელიწადნახევარი კაპიტნის სამკლავური მიკეთია.

— ბარემ „ამერამდე“ განვლილი გზაც გავიხსენოთ.

— 18 წლისა უკვე თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდი. იმდროინდელი წესით, მედალი რომ აგეღო, მატჩების გარკვეულ რაოდენობაში უნდა მიგეღო მონაწილეობა. მაშინ ოქროს მედლამდე ორი მატჩი დამაკლდა. მომდევნო სეზონში უფრო ნაკლებად მიწევდა მოედანზე გასვლა, ალბათ ისევ ასაკიდან გამომდინარე, და „მერანში“ გადავედი. ახლაც ვთვლი, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო. იმ პერიოდში ერთი მატჩი ეროვნულ ნაკრებშიც ვითამაშე, ახალგაზრდულში კი მუდმივად ვიყავი. „მერანიდან“ ტერნოპოლის „ნივაში“ წავედი. მერე იყო „კოლხეთი“, ცოტა ხნით ელისტის „ურალანი“, თბილისის „ლოკომოტივი“ და მერე „ამერი“. მიღწევას რაც შეეხება, საქართველოს თასის მოპოვება ჩემს კარიერაში, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია.

— თუ გახსოვს, კარიერის დასაწყისში რა იყო შენი საფეხბურთო ოცნება და შემდგომ რა კორექტივები შეიტანე, ახლა რაზე ოცნებობ?

— ვერ ვიტყვი, ბევრი სხვა ფეხბურთელივით „ბარსაში“ ან სხვა რომელიმე გრანდში თამაშზე ვოცნებობდი-მეთქი. უბრალოდ, ვშრომობდი და ყველაფერს ამ შრომით მივაღწიე. კონკრეტული ოცნება არ მქონია და ახლაც ჩემი ოცნებები „ამერის“ წარმატებებს უკავშირდება.

— ტრიბუნიდან ზოგჯერ ზედმეტად ემოციური ჩანხარ — დავითნიძემ ყვითელი თუ მიიღო, გაძევებამდე ერთი ნაბიჯიღაა, ამბობენ ხოლმე...

— ემოციური ნამდვილად ვარ. ზოგჯერ თამაშის დასრულების შემდეგ საკუთარ თავსაც ვამტყუნებ ხოლმე, თუმცა უმაღლეს ლიგაში ისე გადმოვედით, იმ სეზონში ერთი ყვითელიც არ მიმიღია. წელს ექვსჯერ გამაფრთხილეს და აქედან ერთი-ორჯერ მსაჯებთან კამათის გამო. „სიონთან“ თასის ნახევარფინალში რატომ გამაძევეს, ახლაც არ ვიცი — თანაგუნდელს ვეკამათებოდი, რაც ჩემი, როგორც კაპიტნის, უფლებაა.

— ბარემ მსაჯობაზეც ვთქვათ: რამდენად ობიექტური იყო მსაჯობა „ამერის“ მიმართ?

— რამდენიმე შეხვედრაში მსაჯებმა ჩვენ საწინააღმდეგოდ გაუგებარი გადაწყვეტილებები მართლაც მიიღეს. იგივე „სიონთან“ პირველი წრის შეხვედრაში ნაღდი გოლი არ ჩამითვალეს. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი მეშვიდე ადგილი მსაჯების „დამსახურებაა“ — ამის მიზეზი ფეხბურთელებმა პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ვეძებოთ. ისიც ხომ სათქმელია, რომ უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონი გვქონდა, რამდენიმე ახალგადმოსული ფეხბურთელი ბოლომდე ვერ გაიხსნა და ასე შემდეგ...

— მატჩის წინ რაიმე რიტუალი თუ გაქვს?

— არანაირი. მოედანზე გასვლის წინ ვლოცულობ ხოლმე.

— კარიერის განმავლობაში ვინ იყო შენთვის იდეალური პარტნიორი?

— „ამერში“ ყველაზე დიდი ხანია ვთამაშობ და აქედან გამომდინარე, საუკეთესო პარტნიორადაც ვახო ხვადაგიანს მივიჩნევ, ერთმანეთის მართლაც კარგად გვესმის.

— წლევანდელ ჩემპიონატში შენთვის ყველაზე უხერხული ფორვარდი ვინ იყო?

— კარგი ბიჭები მოდიან, მაგრამ მაინც მგონია, რომ ზურაბ იონანიძე წლეულს საუკეთესო იყო.

— ისევ „ზესტაფონთან“ ფინალს დავუბრუნდეთ: მატჩისშემდგომ სერიაში პენალტის დარტყმა დაგევალა თუ თავად ითხოვე?

— სიმართლე თუ გინდათ, პენალტი საერთოდ არ უნდა დამერტყა. როცა ზურაბ ქვაჩახიამ გოგი ფიფიას აუღო, ანგარიში საყაიმო იყო და ორ-ორი თერთმეტმეტრიანი გვრჩებოდა. ჩვენი რიგი იყო და ჩემმა თანაგუნდელმა, რომელსაც მეოთხე პენალტის შესრულება უწევდა, გვითხრა, ვერ დავარტყამო. მაშინ გადავწყვიტე მის მაგივრად დარტყმა. არანაირი ნერვიულობა არ მიგრძვნია, დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიტანდი.

— 13 მაისს სტადიონზე ალბათ შენი „პირადი“ ქომაგებიც იყვნენ.

— მამა და მეუღლე ესწრებოდნენ შეხვედრას. ჩემს ოთხი წლის გოგონას ფეხბურთის ქომაგობას ვერ მოსთხოვ, მაგრამ ორი წლის ვაჟი მყავს და თავიდან ბოლომდე უყურა ფინალს — პენალტების სერიის ჩათვლით.

გიორგი ნოზაძე

ლაშა ქებაძე კრილიაში

მეორე ქართველი სამარული ფრთებით?

შაბათს სამა- „კრილიამ“ კიშინიოვში ამხანაგური მატჩი გამართა იქაურ „ზიმბრუსთან“ და 1:1 ითამაშა. „კრილიას“ თავკაცმა გაჯი გაჯიევმა რამდენიმე ლიდერი დაასვენა, მათ შორის დავით მუჯირიც. სამაგიეროდ, ერთმა ქართველმა ითამაშა და თანაც ისეთმა, რომლის გამოჩენას სამარელთა გუნდში ნაღდად არ ველოდით — ეს ლაშა ქებაძეა, რომელიც 48-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და ბოლო წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო.

ქებაძემ წინა სეზონი „ბათუმში“ ჩაამთავრა, მანამდე კი თბილისის „ლოკომოტივის“ ლიდერი იყო. ლაშა ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა ჩვენს ჩემპიონატში, ნახევარმცველის კვალობაზე ბევრი გოლიც გაიტანა, თუმცა აქამდე არასოდეს გვსმენია, თითქოს მას უცხოური კლუბის ვარიანტი ჰქონოდა.

ქებაძე ჯერჯერობით გასინჯვაზეა „კრილიაში“ და ვნახოთ...

ილია ნანოგაშვილი

გაძლიერება შენარჩუნებით იწყება

თბილისურმა „ამერმა“ წინა სეზონის პროგრამა-მაქსიმუმი შეასრულა, საქართველოს თასთან ერთად უეფას თასის საგზურიც მოიპოვა და უმალ გუნდის შემადგენლობის შენარჩუნება-გაძლიერებაზე დაიწყო მუშაობა.

ამ გზაზე პირველი ნაბიჯი სათასო ფინალის გმირებთან შეთანხმების მიღწევა იყო. გუნდის უპირობო ლიდერმა სულიკო დავითაშვილმა კლუბთან ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის მიხედვითაც „ამერში“ 2009 წლის ზაფხულამდე ითამაშებს. გუნდში დარჩენა გადაწყვიტა მეკარე ზურაბ ქვაჩახიამაც, რომლის ახალ კონტრაქტსაც ვადა ერთი წლით ადრე, 2008 წლის ზაფხულში გაუვა.

გიორგი ნოზაძე

ბალაბან ძუძუნელაძის ფოტო

მის აღმატებულებას, საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის გულშემატკივართა

მიმართვა

ბატონო პრეზიდენტო!

როგორც მოგეხსენებათ, 2004 წელს ზესტაფონში ჩამოყალიბდა პროფესიული საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი", რომელიც უკვე ორი სეზონია წარმატებით ასპარეზობს როგორც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში, ასევე დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშებაში. საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა" ორჯერ ზედიზედ მიიღო მონაწილეობა ეროვნული თასის გათამაშების ფინალურ მატჩებში. გუნდი საშინაო მატჩებს მართავს ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე, რომელიც დღეისათვის არის ქონების მართვის სააგენტოს ბალანსზე. ქალაქ ზესტაფონის მოსახლეობა კვირიდან კვირამდე მოუთმენლად ელოდება საფეხბურთო მატჩების გამართვას.

საქართველოს არცერთ საფეხბურთო კლუბს არ ჰყავს ისეთი მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი, როგორც საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს", რისი დასტურიც არის საშინაო თუ გასვლით მატჩებზე გულშემატკივართა დასწრება. საშინაო მატჩებზე ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი მუდამ სავსეა — თითოეულ მატჩს ესწრება სულ მცირე 8 000 გულშემატკივარი.

ამჟამად ზესტაფონის ცენტრალური სტადიონის ბალახის საფარი შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და სპეციალისტთა საერთო აზრით საუკეთესოა საქართველოში, რის გამოც ამა წლის 26 აპრილს ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველოსა და მალტის ნაკრებებს შორის, რომელიც მიმდინარეობდა ადგილობრივ ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერით და დასრულდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამარჯვებით.

ამჟამად ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი უეფას მოთხოვნების შესაბამისად საჭიროებს ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებას, რაზედაც ზესტაფონის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ, ბატონ დავით ფერაძესთან იქნა მიღწეული შეთანხმება ფინანსური მხარდაჭერის შესახებ.

ბატონი დავით ფერაძე დაგეგმილია, რომ ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე ინდივიდუალური სკამების შესაძენად გამოყოფდა 50 000 ლარს, რაც გაჟღერდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითაც.

სამწუხაროდ, დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის ფინალში საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" წარუმატებლობის შემდეგ ზესტაფონის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა, ბატონმა დავით ფერაძემ პოზიცია შეიცვალა, კერძოდ, უარი განაცხადა დანაპირები თანხის გამოყოფაზე, რაც საფრთხეს უქმნის საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" არსებობას და ზესტაფონის რაიონში ფეხბურთის განვითარებას.

ვიცით რა თქვენი დამოკიდებულება და ზრუნვა ქართული ფეხბურთის განვითარებისადმი, მოგმართავთ თხოვნით, დაგვეხმაროთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში. ამით თქვენ ხელს შეუწყობთ ფეხბურთის განვითარებას არა მარტო ზესტაფონში, არამედ საქართველოს შეემატება ევროპული სტანდარტების შესაბამისი კიდევ ერთი სტადიონი.

ბატონო პრეზიდენტო! გვჯერა თქვენი გულისხმიერების და წინასწარ გიხდით მადლობას!

პატივისცემით,
საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" გულშემატკივრები

თქმა და შესრულება ერთი იყოს!

გამგეობამ ზესტაფონი სკამიდან ააყენა

აი, ასეთი წერილი მივიღეთ ზესტაფონიდან და წმინდა ქართულ მენტალურ ამბავთან გვაქვს საქმე — რაიონის გამგებელი დავით ფერაძე თურმე უარზეა, „ამერთან" თამაში მოგეგოთ და 50 000 ლარზე უკან არ დავიხევდიო. ასეთმა მიდგომამ გუნდის გულშემატკივრები აღაშფოთა, ისინი ქალაქში ხელმოწერებს აგროვებენ, რათა გამგეობას თავიანთი მოთხოვნის სამართლიანობა დაუმტკიცონ.

როგორც შევიტყვეთ, ეს 50 000 ლარი მხოლოდ სკამების შეძენისთვისაა გათვალისწინებული, დამონტაჟების ხარჯებს კი „ფერო" იღებდა საკუთარ თავზე. რაიონის გამგებელს უთქვამს, თანხის არამიზნობრივად ხარჯვა გამომივა, სკამები რომ შევიძინოთო. და საინტერესოა, სანამ „ამერთან" წააგებდა „ზესტაფონი", მაშინ არ გამოდიოდა არამიზნობრივად ხარჯვა?!

„ზესტაფონის" გენერალურმა დირექტორმა დავით აბაშიძემ გვითხრა, საშიში არაფერია, გამგეობამ რომც არ გადაიხადოს, სკამების შესაძენ ფულს მაინც ვიშოვითო.

„საკითხი ამ დღეებში გადაწყდება. იმედი მაქვს, რაიონის გამგეობა ათი დღის წინანდელ ნათქვამს შეასრულებს, რადგან თანხაზე უარი რომ თქვან, რაიონის და ხალხის წინააღმდეგ ქმედება გამოუვათ. ბოლოს და ბოლოს, სტადიონი სწორედ სახელმწიფოს, ქონების მართვის სააგენტოს ეკუთვნის".

ბოლო დროს გახშირდა ხმები, „ზესტაფონში" ცუდი ფინანსური მდგომარეობაა, „ფერო" აღარ აპირებს გუნდის ძველებურად პატრონობას და ბევრი ფეხბურთელი სხვა კლუბში წავაო. აბაშიძემ კი გვითხრა, ეს ტყუილია, პირიქით, გაძლიერებას ვაპირებთო.

„სეზონის წინ „ზესტაფონი" შეკრებებს გაიკეთებს. ყველანაირი პირობები იქნება უფრო ძლიერი გუნდის შესაქმნელად. სერგეი ნუდნის წასვლა თითქმის გადაწყვეტილია — ის საჭირო ფეხბურთელია ჩვენთვის, მაგრამ ოჯახს მოწყვეტილია და თავად ითხოვა წასვლა. ეკონომიკური მოგების მიზნით არცერთ ფეხბურთელს არ შევეწევით, მინიმუმ ოთხ-ხუთ მოთამაშეს კი შევიძენთ".

როგორც შევიტყვეთ, ნუდნის გარდა, „ზესტაფონს" ზურაბ ძამსაშვილიც დატოვებს.

ერთი სიტყვით, თუ კლუბში ყველაფერი კარგად იქნება, ფეროელებისგან ამ ზაფხულს სატრანსფერო აქტიურობას უნდა ველოდოთ.

ილია ნანოგაფშვილი

ალექსანდრე ალექსანდროვის ფოტო

„ზესტაფონს" არცთუ სახარბიელო დრო უდგას

ბოლნისი ლიგას ვერ შეეღია

ჩემპიონს სტადიონიც ჩემპიონური ექნება

საქართველოს ახალი ჩემპიონის, ბოლნისის „სიონის" საშინაო სარბიელზე დღეიდან ფართომასშტაბიანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები იწყება და მალე საფეხბურთო საქართველო კიდევ ერთი კოხტა, ევროპული სტანდარტების შესაბამის სტადიონს მიიღებს.

„თამაზ სტეფანიას" სარეკონსტრუქციო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა უკვე ზუსტად არის შედგენილი. სპონსორებმა და ბოლნისის გამგეობამ ბოლნისელი ქომაგების თხოვნა გაითვალისწინეს და ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს „სიონი" ფაქტობრივად ახალ სტადიონზე ითამაშებს. არადა, ამ ცოტა ხნის წინ „სიონი" საერთაშორისო მატჩების გამართვას თბილისში აპირებდა.

„თამაზ სტეფანიაზე" დღეიდან დაიწყებენ მოედნის საფარის შეცვლასაც. ახალი მინდორი, როგორც თქვეს უმაღლესი ხარისხის იქნება, ხოლო ამჟამინდელი საფარი „სიონის" საწვრთნელ მოედანზე, რატევანში დაიგება.

სტადიონზე დამონტაჟდება თანამედროვე სტანდარტების ვიდეო-ტაბლო, მოწესრიგდება სხვადასხვა სათავსოები, სტუმართა და ჟურნალისტთა ლოჟები გაფართოვდება, ტრიბუნებს კი, შესაძლოა, დამატებითი ადგილებიც შეემატოს.

მოკლედ, „თამაზ სტეფანიაზე" დღეიდან დიდი სამუშაოები იწყება და ახალი ევროპული სეზონისთვის კიდევ ერთი ახალი სტადიონი გვექნება.

ლუკა თალაკვაძე

ლიპი შვილმა გაყიდა

ლუჩანო მოჯისთან მის ვაჟთან ნაცნობობა შეიძლება ძვირად დაუჯდეს მარჩელო ლიპის — ამ ბოლო დროს მავანნი იტალიის ნაკრების მწვრთნელის შეცვლაზეც ალაპარაკდნენ.

მოჯი, მოგეხსენებათ „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერი იყო, მისი ვაჟი კი ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვის საagენტო GEA-ს ხელმძღვანელობს და კლუბიდან კლუბში მრავალი მოთამაშე ჰყავს გადაყვანილი. ერთი სიტყვით, იტალიურ ფეხბურთში ამტყდარი სკანდალის ცენტრში სწორედ მამაშვილი მოჯები არიან, ხოლო ლიპიზე ეჭვია, რომ GEA-ს კლიენტი იყო. აღსანიშნავია მეორე ეჭვის ამბავიც — ლიპის ვაჟი დავიდეც თანამშრომლობდა GEA-თან.

„ლიპი რისკის წინაშეა — წერდა გუშინ „გაძეტა დელო სპორტი“ — ის, რომ ლიპი სკანდალში გარეული არ არის, არანაირად არ მტკიცდება. ის რისკის წინაშეა, რადგან ეს პრობლემა, რომელსაც გადავაწყდით, მხოლოდ იტალიური არ არის. მთელი მსოფლიო პრესა ამაზე წერს და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აკვირდება“.

„ელ მანიფეტო“: „ლიპი უნდა გადადგეს. ეს სულ მცირე ნაწილია იმისა, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, რათა იტალიური ფეხბურთის პრესტიჟი ავამაღლოთ. თუ ასე არ მოხდება, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენ ყველანი მეტოქეებს, განას, აშშ-ს და ჩეხეთს ვუქომაგებთ“.

პაპუნა კვედია



ფაბრიციო მიკოლი: რა მოჯი, რის მოჯი?!

იტალიელმა ფორვარდმა ფაბრიციო მიკოლიმ განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში ლუჩანო მოჯის რეკომენდაციით არ მოხვედრილა და „სკუადრა აძურაში“ ადგილს თავისი შრომით იმსახურებდა. ცოტა ხნის წინ აპენინურმა პრესამ გაავრცელა შარში გახვეული „იუვენტუსის“ ყოფილი გენერალური დირექტორის სიტყვები: „იგი ნაკრებში მხოლოდ ჩემი წყალობით მოხდა“ — რამაც ჩია თავდამსხმელი ძალიან გააღიზიანა.

„მოჯისგან და მისი გარემოცვისგან დახმარება არასოდეს მიმიღია. როდესაც ეროვნულ ნაკრებში ჩემი დებიუტი შედგა, ჯერ კიდევ „პერუჯაში“ ვთამაშობდი და მაშინ „იუვენტუსს“ ორ მატჩში ოთხი გოლი გავუტანე. მერე „მილანი“ და „ინტერი“ დავამარცხეთ და უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ. ასე რომ, „სკუადრა აძურაში“ ადგილი ჩემით დავიმსახურე“ — თქვა მიკოლიმ.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსის“ ფორვარდის დებიუტი ნაკრებში 2003 წლის 12 თებერვალს პორტუგალიასთან, ჯოვანი ტრაპატონის ხელში შედგა. მას „სკუადრა აძურას“ მაისურა 10-ჯერ მოურგია. მიკოლი ახლა „ბენფიკაშია“ განათხოვრებული და „დელე ალპიზე“ დაბრუნებას არ აპირებს. მისი აგენტის თქმით, თუ „ბებერ ქალბატონს“ სერია B-ში დააქვეითებენ, მიკოლი ავტომატურად თავისუფალი აგენტი გახდება.

„ჩემს მომავალზე ჯერ ვერ ვისაუბრებ. „ბენფიკაში“ ბედნიერი ვარ, მაგრამ იმასაც გაჩნია, რა ბედი ეწევა „იუვენტუსს“. დღევანდელ ფეხბურთში მიმდინარე მოვლენები და მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალი ძალიან არასასიამოვნოა. ყველაფერი მალე უნდა გაირკვეს და დალაგდეს“ — დასძინა მიკოლიმ.

კოკი კანდელაკი

ჯერ არ გადასულა და უკვე დაასრულა

მიხაელ ბალაკი კარიერის დასრულებას „ჩელსიში“ აპირებს. შეგახსენებთ, რომ გერმანიის ნაკრების კაპიტანი „სტემფორდ ბრიჯზე“ „ბაიერნიდან“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადაბარგდა და სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი კვირაში 130 ათას ევროს მიიღებს.



„იმედია, მომავალი სამი წლის მანძილზე ყველაფერი კარგად აეწყობა და კონტრაქტსაც გავახანგრძლივებ. ახლა ამაზე ლაპარაკი ადრეა, მაგრამ მინდა, კარიერა „ჩელსიში“ დავასრულო“ — თქვა 29 წლის ნახევარმცველმა.

ბალაკმა ისიც აღიარა, რომ ჟოზე მაურინიუს გუნდს ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად შეუერთდა. თუმცა იმდენიც ესმის, რომ ამის გარანტიას რომან აბრამოვიჩის დიდი ფულიც ვერ იძლევა: „ლიგის მოგება ჩემი ოცნება და მიზანია, „ჩელსიში“ უმაღლესი დონის ფეხბურთელები არიან და გუნდი ფინანსურადაც გამართულია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბოლომდე უნდა დავიხარჯოთ და იმედია, გავიმართლებს. „ლევერკუზენთან“ ერთად ფინალში ვიყავი, მერე „ბაიერნში“ გადავედი ზე რობერტოსთან და ლუსიოსთან ერთად. წესით, შეუჩერებლები უნდა ვყოფილიყავით, ბევრმა საუკუნის გუნდიც გვიწოდა, მაგრამ ლიგას ორჯერვე ნაადრევად გამოვეთიშეთ“.

ამის მერე ბალაკი ეროვნულ ნაკრებზე გადაერთო და აღნიშნა, რომ მოხარულია, „ჩელსიში“ მისი ტრანსფერი მუნდიალამდე რომ მოგვარდა, რადგან ახლა ჩემპიონატისთვის მშვიდად მოემზადება.

„გერმანიისგან ყოველთვის ბევრს ელიან ჩვენი მდიდარი ტრადიციებისა და მიღწევების გამო, მაგრამ ახლა ძალიან ახალგაზრდა და გამოუცდელი ნაკრები გვყავს. ბევრია ისეთი მოთამაშე, რომელთაც თავიანთ კლუბებში ხშირად სათადარიგოთა სკამზე უწევთ ჯდომა. მაგალითად, რობერტ ჰუთი. ამ მხრივ, ბრაზილიასა და ინგლისს დიდი უპირატესობა აქვთ. შესაძლოა, კარგიც იყოს, ცოტა ხნის წინ იტალიასთან ამხანაგურ მატჩში 1:4 რომ დავმარცხდით. ამით ბევრმა რეალური სურათი დაინახა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, მაგრამ ზედმეტი არ უნდა მოგვთხოვონ და მოინდომონ“ — განაცხადა ბუნდესნაკრების კაპიტანმა.

ამასობაში „ჩელსი“ დატოვა მანიშემ. მოსკოვის „დინამოდან“ ნახევარი წლით ნათხოვარმა ნახევარმცველმა იმედები მთლად ვერ გაამართლა და ლონდონელებმა მისი გამოსყიდვა აღარ ისურვეს. შეგახსენებთ, რომ მანიშე და მაურინიუ „ბენფიკასა“ და „პორტუში“ ერთად იყვნენ. 28 წლის პორტუგალიელი უკვე ახალ კლუბს ეძებს, რადგან „დინამოში“ დარჩენას არ აპირებს. მას იქაური ჩემპიონატის დონე და მთლიანად ქვეყანა არ მოსწონს.

„ჩვენ ყველაფერზე ვილაპარაკეთ და ასე გადავწყვიტეთ. დიდ მადლობას ვუხდით მანიშეს და საუკეთესო სურვილებით ვემშვიდობებით“ — თქვა „ჩელსის“ თავმჯდომარემ პიტერ კინიონმა.

გიორგი კაკაბაძე

ინტერი: ახალი სიტყვა იტალიურ სკანდალში

ტურინის „იუვენტუსის“ გარშემო ატეხილ სკანდალს კიდევ ერთი კუდი გამოება. რა ხანია, გაირკვა, რომ იტალიის მსაჯთა ასოციაციის ყოფილი შეფი და უეფას არბიტრთა კომისიის ყოფილი წევრი პიერლუიჯი პირეტო მხოლოდ „ბებერი ქალბატონის“ მესვეურებს როდი უმხელდა წინასწარ თუ ვინ იქნებოდა „იუვეს“ ამა თუ იმ მატჩის მსაჯი. აღმოჩნდა, რომ ამ ყველაფერში „მილანი“, „ლაციო“ და „ფიორენტინაც“ ყოფილან გარეულნი, ხოლო ახლა მათ სიას „ინტერიც“ შეემატა.

ჯაჩინტო ფაკეტი

მოგეხსენებათ, კლუბებმა თამაშამდე მხოლოდ 48 საათით ადრე უნდა გაიგონ, თუ ვინ იქნება მათ მატჩზე მსაჯი. იტალიურ პრესაში კი მორიგი სატელეფონო საუბრის სტენოგრამა დაიბეჭდა, რომელშიც პირეტო „ინტერის“ პრეზიდენტ ჯაჩინტო ფაკეტის ერთი თვით ადრე უმხელს, რომ „ნეროაძურის“ „ვალენსიასთან“ შეხვედრის არბიტრი კიროს ვასარასი იქნება. ეს თამაში 2004-05 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიმართა.

ასე რომ, „იუვენტუსში“ ლუჩანო მოჯის შავბნელი საქმეებისა და სხვა ფაქტების გარდა, გამოძიებას კიდევ ერთი საქმე და სკანდალი შეემატა, რაზეც გამოძიება უკვე დაწყებულია.

კოკი კანდელაკი

მსაჯისგან დავიწყებული

კარლოს გამარა მოედანზე იმალებოდა

— თქვენ ცნობილი ხართ, როგორც უკიდურესად დისციპლინირებული მცველი. საფრანგეთში, მაგალითად, ერთხელაც არ დაჯარიმებულხართ და ჩემპიონატის საუკეთესო მცველად დაგასახელეს. როგორ მოახერხეთ ასეთი რამ?

— ეს თანდაყოლილი თვისებაა. ჩემი მიზანი ვინმეს წაქცევა არასოდეს არ ყოფილა. ვცდილობ, ფიზიკურად კარგად ვიყო მზად და საჭირო დროს საჭირო ადგილზე მივასწრო, ეს არის და ეს. რაც შეეხება ორთაბრძოლებს, ფეხის ბრძოლაში შეყოფისა ცხოვრებაში არ შემშინებია.

— ყოველთვის მცველი იყავით?

— არა. დაცვაში ჩემი პირველი პროფესიული კონტრაქტიდან სამი წლის შემდეგ გადამიყვანეს. მანამდე ბურთის მთრეველ ნახევარმცველად ვთამაშობდი. პოზიცია პირველად „სერო პორტენიოს" მაშინდელმა მწვრთნელმა სეზარ კარპეჯიანიმ შემიცვალა.

— და საშინლად უკმაყოფილო იყავით.

— ცხადია. მანამდე ხომ ორი წელიწადი ახალგაზრდულ და კიდევ ორი მთავარ გუნდში ნახევარმცველად ვთამაშობდი.

— მაშინ, ალბათ, საყვარელი ფეხბურთელიც გყავდათ.

— პარაგვაის ნაკრების თავდამსხმელი რომერიტო იყო ჩემი კერპი. ჩემი ბავშვობის წლებში ის ჩვენს ქვეყანაში გმირთა გმირი გახლდათ. ის იყო მთელი ერის სახე.

— პარაგვაიში მხოლოდ ერთ გუნდში გითამაშიათ, „სერო პორტენიოში". იქ 1991 წელს დაიწყეთ კარიერა, მაგრამ შემდეგ უცხოეთში წახვედით. რატომ?

— იმიტომ, რომ ვიგრძენი, პარაგვაიში საკუთარი შესაძლებლობები ამოვწურე. რისთვის უნდა მიმედწია სამშობლოში დარჩენით? საერთოდაც, პარაგვაელისთვის თუ ბრაზილიელისთვის ნამდვილი გამოცდა ევროპაა, თუმცა იმ წლებში, პარაგვაელი, ბრაზილიაში ან არგენტინაში გადასვლით უფრო უახლოვდებოდი ევროპას. ჩემი სამშობლოდან პირდაპირ ევროპაში მოხვედრა უკიდურესად ძნელი გახლდათ, მითუფრო, რომ მე კარიერის დაწყება იმ წლებში მომიხდა, როდესაც ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვერ ხვდებოდა. 1998 წლის შემდეგ საქმე უკე წავიდა და ახლა პირდაპირ პარაგვაიდან ევროპაში გადაბარგება გაიოლდა.

— 1996 წელს ბრაზილიურ „ინტერნასიონალთან" გააფორმეთ კონტრაქტი და მას მერე ამ ქვეყანაში დამკვიდრდით. ჰოდა, ბრაზილიასთან დაკავშირებით... ცოტა უხვრწული ხომ არ არის თქვენგან „პალმეირასში" თამაში, რადგან 1998 წელს „კამპეონატო ბრაზილიეროს" ჩემპიონი, მისი მოქიშპე „კორინთიანსის" შემადგენლობაში გახდით?

— დარწმუნებული ვარ, რომ არა. ჩემი „კორინთიანსში" ყოფნა უკვე ისეთივე ისტორიაა, როგორიც ჩემი ყოფნა ნებისმიერ სხვა ყოფილ გუნდში. დღეს ჩემთვის ყველაზე ახლობელი გუნდი „პალმეირასია", ხოლო „კორინთიანსში" ადრე ვიყავი ბედნიერი.

— ბრაზილიის ნაკრების წევრმა ჟუანმა განაცხადა, რომ ბევრი რამ „ფლამენგოში" ყოფნისას თქვენგან ისწავლა. თქვენ ვინ მიგაჩნიათ საუკეთესო მცველად იმ ფეხბურთელებს შორის, ვის მხარდამხარაც გითამაშიათ?

— კარიერაში მართლა უამრავ დიდ მცველთან მითამაშია მხარდამხარ, მაგრამ მათგან ერთს განგებოდ გამოვაჩევ. ეს გახლავთ პარაგვაელი სელსო აიალა, რომელიც დღეს ჩილეს „კოლო კოლოში" თამაშობს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია მოგახსენოთ, რომ ისე უსაფრთხოდ, როგორც მასთან, არავისთან მიგრძვნია თავი. თქვენ წარმოიდგინეთ, ნაკრების თამაშების წინ ჩვენ ერთმანეთს დიდი-დიდი ერთი კვირით ვხვდებით და ესეც საკმარისია სიტყვის უთქმელად რომ გავუგოთ ერთმანეთს.

— და ბრაზილიელ მცველთაგან ვის გამოყოფდით?

— ბრაზილიაში ბევრი კარგი მცველია. მაგალითად კრისი, ლუსიო, ჟუანი და ლუიზაო. ისინი ევროპის საუკეთესო გუნდებში გამოდიან და ეჭვი არ მეპარება, რომ ამ მუნდიალზე თავს გამოიჩენენ.

— არადა, არსებობს სტერეოტიპი, თითქოს ბრაზილიაში კარგ მცველებს ვერ ზრდიან.

— ბრაზილიაში, როგორც მოგახსენეთ, ბევრი ძალიან ძლიერი მცველია, ოღონდ ეგაა, აქ განსხვავებულ სისტემას მისდევენ — განაპირა მცველები არავის მეურვეობენ და მათი გატარებული ფორვარდების შეჩერება ცენტრალურ მცველებს ევალებათ, რაც, მეტოქის დიდი ზეწოლის დროს იმას იწვევს, რომ ამ ფორვარდებს ერთი შეტევისას კარში ორ-სამჯერ დარტყმის საშუალება ეძლევათ და ეს ხშირად გოლით მთავრდება. რაც შეეხება ქომაგებს, ასეთი სიტუაციების ცქერისას ისინი ამბობენ, რომ მცველი კონკრეტულ ეპიზოდში შეცდა და სულ არ ამახვილებენ ყურადღებას იმაზე, რომ ამ გოლის გაშვება ტენდენციის შედეგი იყო.

— თქვენზე ამბობენ, რომ ხისტ ფეხბურთს თამაშობთ. როგორი ხართ მოედნის გარეთ, შვილებთან?

— ოთხი შვილი მყავს. უფროსი 18 წლისაა, უმცროსი სამის.

— და მკაცრი მამა ხართ? მათ როგორლა მეურვეობთ?

— არა, არა, მკაცრი რომ ვიყო უფროს ქალიშვილს სასწავლებლად ინგლისში არ გავუშვებდი. დღევანდელ ცხოვრებაში შვილებს მეურვეობას ვერ დაუწესებ.

— და ბოლოს, 35 წლის კაცი ფეხბურთიდან წასვლას როდის აპირებთ?

— ჯერ არა. ვგონებ, ერთი-ორი წელიწადის გაქაჩვა კიდევ შემიძლია. სხვათა შორის, ევროპიდან მივიღე შემოთავაზება, მაგრამ ჯობს ბრაზილიაში დავრჩე.

რუნის ფეხი მზადაა

ინგლისის ნაკრების დაშავებული ფორვარდი უეინ რუნი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წავა კი არა, შესაძლოა პირველსავე თამაშში მოედანზე ვიხილოთ. შეგახსენებთ, რომ ინგლისელებს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის ერთადერთხელ მოგებიდან 40 წლის თავზე დიდი იმედი აქვთ, რომ მაშინდელ შედეგს გაიმეორებენ, რაშიც 20 წლის რუნის შინ დატოვებას საშინლად შეეძლო ხელის შეშლა, მაგრამ ყოვლისმცოდნე გაზეთმა „სანმა" გამოაცხადა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი სწრაფად ჯანმრთელდება და დიდი შანსია, 10 ივნისსვე ვიხილოთ მოედანზე.

„ყველასთვის ცნობილია, რომ რუნის გამოჯანმრთელების ტემპი მოსალოდნელზე გაცილებით სწრაფია" — უთხრა „სანს" ინგლისის ნაკრებთან დაკავშირებულმა სანდო წყარომ, რომელსაც გაზეთი არ ასახელებს. მოგეხსენებათ, რუნი 25 მაისს ნატკენი ადგილის სკანირებას გაიკეთებს და საბოლოოდ ყველაფერი იქ გამოჩნდება.

ხოლო „ჩარლტონ ატლეტიკის" ცენტრალურმა მცველმა ლუკ იანგმა კოჭი იტკინა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შემზადებულ სამარქაფოთა სიას გამოაკლდა. იანგი ინგლისის ნაკრებს პორტუგალიურ შეკრებაზე ახლდა და პარასკევს ივარჯიშა კიდეც, მაგრამ ტკივილი იგრძნო და მწვრთნელმა სვენ გორან ერიქსონმა მისი შინ დაბრუნება ამჯობინა. იანგის ნაცვლად „ტოტენჰემიდან" მაიკლ დოუსონი გამოიძახა.

დღეს ინგლისელები თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე, ჰერტფორდშირში ბრუნდებიან და ერიქსონიც იქ მოიფიქრებს თუ ვინ უნდა გამოიძახოს დაშავებულის მაგივრად.

პაპუნა კედია



კეირუში სანტუში

ლისაბონის „ბენფიკას" ფერნანდო სანტუში გაწვრთნის და არა კარლუშ კეირუში — „მანჩესტერში" სერ ალექს ფერგიუსონის თანაშემწემ ბოლო წამს „არწივებთან" თანამშრომლობაზე უარი თქვა და ლუზიტანიურ მედიასაც გაუხუნდა კეირუშის სამშობლოში დაბრუნების ნაადრევი ზეიმი. „ბენფიკა" კი გამოცდილ კაცს ჩაბარეს, სანტუში „პორტუს", „სპორტინგის", „ეშტორილის", „ეშტრელა ამადორასა" და ბერძნული კლუბების — „პანათინაიკოსის" და აეკ-ის ექსმწვრთნელი იყო.

„ბედნიერი ვარ, მუშაობა „ბენფიკაში" რომ მოიწევს. ჩვენი მიზანი ყველა ჯილდოს მოგება იქნება" — განაცხადა „არწივების" ახალმა თავკაცმა. ლისაბონური გრანდი ამ სეზონში რონალდ კუმანის მეთაურობით სუპერლიგაში მესამე ადგილს დასჯერდა, რის გამოც „ბენფიკა" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს.

ლადო ხომერიკი

ჩაიშალა გამოვიდა

ფერნანდო სანტუში

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXXVIII ტური

ბილბაო 3:1 ბარსელონა

0:1 ეტოო (36), 1:1 ირაოლა (58), 2:1 ფელიპე (79), 3:1 ოლეგერი (81ს.კ.)

ბილბაო: ლაფუენტე, კასასი, ლაკრუსი, ლ. პრიეტო, ორბაისი, მურილიო (ფელიპე 51), ტიკო (ეჩებერია 58), ირაოლა, უსტარიცი, ლორენტე (იულენ გერერო 58), ურსაისი

მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე

ბარსელონა: ხორკერა, ბელეტი, ოლეგერი, ოლმო, მოტა, ლუდოვიკი (მასო 81), ორლანდი (მარტოსი 74), ჟიული (პიტუ 62), ესკერო, მაქსი ლოპესი, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ოლმო

მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი

40 000 მაყურებელი

ეტოოს ოცდაექვსი ბილბაოში შეუსრულდა

ესპანური პრიმერაც დასრულდა. ბოლო ტურის ბოლო მატჩში „ბარსელონას“ ფორვარდმა სამუელ ეტოომ ჩემპიონატის მთავარმეგოლეობა გაინაღდა, ბილბაოს „ატლეტიკმა“ კი ცხრილში მეთორმეტე ადგილი. ბასკებმა სათადარიგო შემადგენლობით მობურთავე ჩემპიონი დაამარცხეს, რაც ვინძლო მცირედი შვება იყოს ამ სეზონში ხშირი წაგებებით დატანჯული ბილბაოელებისთვის.

კამერუნელმა ეტოომ პირველ ტაიმში „სან მამესზე“ ზუსტი დარტყმით მთავარმეგოლეობისთვის ომში ვალენსიელი დავიდ ვილია დაჯაბნა, ხოლო ადგილობრივი ინჩასობა ანდონი ირაოლას, ფელიპე გურენდესის და ბარსელი ოლეგერის (ამან საკუთარი კარი დალაშქრა) გატანილმა გოლებმა გაახარა.

ფანებს მეტოქიდან ორი ფეხბურთელი ჰყავდათ განსაკუთრებით ამოჩემებული — სანტი ესკეროს იმიტომ აგინებდნენ, რომ ექსბილბაოელია, სამუელ ეტოოს კი იმიტომ, რომ... მოკლედ, რასიზმის პრობლემამ ესპანურ სტადიონებზე ჩემპიონატის ბოლო ტურშიც იჩინა თავი. ეტოომ კი 36-ე წუთზე გაიტანა ძლიერი დარტყმით. ურსაისმა იმ ეპიზოდში მთავარმეგოლის დაჭერა ვერ შეძლო.

პირველი ტაიმი ასეც მორჩა, თუმცა გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო — „ბარსადან“ ისევ ეტოომ და მაქსი ლოპესმა იაქტიურეს, „ბილბაოდან“ ურსაისმა და ტიკომ.

შესვენების შემდეგ, თავის ისტორიაში ყველაზე ცუდი სეზონისგან გაბითურებული „ბილბაო“, გონს მოეგო და „სან მამესზე“ შეკრებილმა ხალხმაც გულზე მჯიღის ბრაგუნით ერთი ტაიმით გაიხსენა ძველი დიდება. „ბარსას“ განადგურება 58-ე წუთზე ირაოლამ დაიწყო, ოცი წუთის მერე კატალონიელთა სათადარიგო მეკარე ხორკერამ ფელიპეს დარტყმა ვერ მოიგერია, ხოლო მატჩის მიწურულს ოლეგერმა ეჩებერიას ჩაწოდებული თავის კარში ჩაჭრა.

კიდევ რა მოხდა ესპანეთში საინტერესო? ხავიერ აგირემ „ოსასუნასთვის“ მეოთხე, საჩემპინთალიგო ადგილის მომტანმა მწვრთნელმა, მედიასთან შეხვედრაში დაადასტურა, კლუბს ნამდვილად ვტოვებო. „ოსასუნას“ ჩემი ცხოვრების ბრწყინვალე ოთხი წელი უკავშირდება, თუმცა მომავალი სეზონიდან ამ გუნდს უკვე სხვა გაწვრთნის“ — განაცხადა მექსიკელმა აგირემ. ოკეანისგაღმელი კაცი კარიერას მადრიდის „ატლეტიკოში“ გააგრძელებს.

ლადო ხომერიკი

საბოლოო ცხრილი

ბარსელონა	38	25	7	6	80:35	82
რეალი	38	20	10	8	70:40	70
ვალენსია	38	19	12	7	58:33	69
სევილია	38	20	8	10	54:39	68
ოსასუნა	38	21	5	12	49:43	68
სელტა	38	20	4	14	45:33	64
ვილიარეალი	38	14	15	9	50:39	57
დეპორტივო	38	15	10	13	47:45	55
ხეტაფე	38	15	9	14	54:49	54
ატლეტიკო	38	13	13	12	45:37	52
სარაგოსა	38	10	16	12	46:51	46
ბილბაო	38	11	12	15	40:46	45
მალიორკა	38	10	13	15	37:51	43
ბეტისი	38	10	12	16	34:51	42
ესპანიოლი	38	10	11	17	36:56	41
რასინგი	38	9	13	16	36:49	40
სოსიედადი	38	11	7	20	48:65	40
ალავესი	38	9	12	17	35:54	39
კადისი	38	8	12	18	36:52	36
მალაგა	38	5	9	24	36:68	24

ბომბარდირები

ეტოო (ბარსელონა)	26
ვილია (ვალენსია)	25
რონალდინიო (ბარსელონა)	17

სეგუნდადივიზიონი
XXXVIII ტური

სიუდად მურსია — ფეროლი 2:1; ეიბარი — ლეიდა 1:1; ერკულესი — ელჩე 0:0; ნუმანსია — ალბასეტე 1:0; ტენერიფე — პოლი ეხიდო 2:1; ალმერია — უელვა 2:1; რეალი B — მალაგა B 4:1; კასტელიონი — ხიმნასტიკი 0:2; ვალადოლიდი — ლორკა 1:1; სპორტინგი — ლევანტე 0:2; ხერესი — მურსია 2:0

უელვა	38	20	11	7	59:28	71
ხიმნასტიკი	38	22	5	11	46:35	71
ლევანტე	38	18	12	8	49:37	66
ლორკა	38	18	10	10	56:39	64
სიუდად მურსია	38	18	10	10	50:42	64
ალმერია	38	18	7	13	47:35	61
ხერესი	38	16	12	10	54:41	60
ნუმანსია	38	17	9	12	43:44	60
რეალი B	38	16	7	15	49:40	55
ვალიადოლიდი	38	13	12	13	50:49	51
სპორტინგი	38	11	16	11	37:32	49
ელჩე	38	13	10	15	45:52	49
ალბასეტე	38	13	10	15	38:52	49
მურსია	38	12	12	14	36:35	48
ერკულესი	38	12	12	14	35:42	48
კასტელიონი	38	12	10	16	38:45	46
პოლი ეხიდო	38	13	7	18	41:49	46
ტენერიფე	38	12	9	17	47:55	45
ლეიდა	38	10	10	18	38:47	40
ფეროლი	38	7	15	16	40:55	36
ეიბარი	38	5	15	18	25:42	30
მალაგა B	38	6	11	21	30:57	29

იტალიურმა „რომამ“ „სამპდორიას“ გარემარბი მაქს ტონეტო დაიმატა. იგი დედაქალაქელთა რიგებში თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. ამბობენ, გენუელებმა უკვე იპოვეს ტონეტოს შემცვლელი, ფიორენტინელი კრისტიან გაჯი, რომელსაც მალე შეიძენენ.

ფრანგულმა „სენტ ეტიენმა“ ყოფილ მწვრთნელ ელი ბოპის შემცვლელი უმალვე მონახა. ამიერიდან გუნდს ჩეხი ივან ჰაშეკი უთავკაცებს. 43 წლის პაშეკს სამწვრთნელო კარიერისას მეტ-ნაკლები წარმატებით უმუშავია პრაღის „სპარტასა“ და „სტრასბურში“.

იტალიური „ასკოლის“ მწვრთნელად ატილიო ტერესი დანიშნეს. 47 წლის ტერესმა ამ პოსტზე მარკო ჯაამპაოლო შეცვალა და კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გერმანული „ვერდერის“ ფრანგი პლეიმეიკერი იოან მიკუ ბრემენში გატარებული ოთხი წლის მერე კლუბის გამოცვლას აპირებს. „არ ვიცი, სად გადავალ, მაგრამ ჩვენი სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი ამჟამად რამდენიმე გუნდთან აწარმოებს მოლაპარაკებას“ — თქვა 32 წლის ფეხბურთელმა. „ბრემენელმა მუსიკოსებმა“ უკვე შეიძინეს „პორტუს“ ბრაზილიელ ლეგიონერი დიეგო.

ფრანგული ჰსუ კოტდივუარელ ფორვარდ ამარა დიანეიი გაძლიერდა. ელიტიდან გავარდნილ „სტრასბურის“ ყოფილ ფეხბურთელთან პარიზელებმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს. „ბოლომდე ახლაც ვერ ვიჯერებ, მაგრამ ეს სიმართლეა. ძალიან მიხარია“ — აღნიშნა 23 წლის აფრიკელმა.

იტალიური „ლივორნოს“ მწვრთნელი დანიელე არიგონი გახდა. მან ამ პოსტზე მაცონე შეცვალა. 45 წლის არიგონი აქამდე „კალიარის“ თავკაცობდა, ახლა კი „ლივორნოს“ რომელიმე ევროტურნირზე გაყვანას დაავალებენ.

ბელგიურმა „ანდერლეხტმა“ არგენტინული „ინდეპენდიენტედან“ ლუკას ბიგლია შეიძინა. 20 წლის ნახევარმცველის საანაცვლოდ ბელგიელებმა 4 მილიონი ევრო გადაიხადეს და ფეხბურთელთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ესპანურმა „ვილიარეალმა“ „სარაგოსას“ ნახევარმცველი ჩანი იყიდა. სარაგოსელის შეძენა „რეალსაც“ და „ვალენსიასაც“ სურდათ, მაგრამ „ყვითლებმა“ დაასწრეს. მედიის ცნობით „ვილიარეალს“ ჩანი დაახლოებით 5 მილიონი ევრო დაუჯდა.

პირამოკერილები
ჰამანი გაიბუტა და წავიდა

დიტმარ ჰამანი, რომელიც კლინსმანის რჩეულ 23-ში ვერ მოხვდა, სანაკრებო ფეხბურთს დაემშვიდობა. მას 59-ჯერ მოურგია ეროვნული გუნდის მაისურა და ხუთი გაუტანია. აქედან ერთი მან „უებლიზე“, ინგლისის ნაკრების კარში შეაგდო და ეს იყო „უემბლიზე“ გატანილი ბოლო გოლი — 2000 წლის ოქტომბერში გერმანიამ ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩში 1:0 მოუგო.

დიტმარ ჰამანის დებიუტი 1997 წელს სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრაში შედგა, ბოლოს კი ბუნდესნაკრების მაისურა შარშან აგვისტოში, ჰოლანდიასთან მატჩში ეცვა.

„სულაც არ გამკვირვებია, რომ იურგენ კლინსმანმა არ გამომიძახა რადგან, არ ველაპარაკებოდი. გული კი მწყდება. 32-ის ვარ და კიდევ ერთ დიდ ტურნირზე თამაშს შევძლებდი“ — თქვა ჰამანმა.

კარბონიმ ბურთით კაბინეტის კარი შეაღო

ესპანური პრიმერადივიზიონის უხუცესი იტალიელი, „ვალენსიას“ მცველი ამადეო კარბონი სამომავალსეზონოდაც პირინეებზე დარჩება, ოღონდ უკვე „ღამურების“ სპორტულ დირექტორად. შაბათს, ვალენსიაში, „პაპა“ კარბონი კლუბის სპორტულ მოხელედ ოფიციალურად წარადგინეს. „ეს ჩემთვის დიდი პატივია. მართალია, დირექტორობის გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ „ვალენსიას“ შესანიშნავად ვიცნობ, რაც საქმის წარმართვაში დამეხმარება“ — განუცხადა იტალიელმა ჟურნალისტებს.

კარბონი 9 წლის განმავლობაში თამაშობდა „ვალენსიაში“, ახლა კი თავის ძალას და ენერგიას ახალ სამუშაოს მოახმარს. ესპანური გაზეთები აცხადებენ, რომ ამადეოს, კლუბში მწვრთნელს და ფეხბურთელთა შორის განხეთქილების მოგვარების მძიმე საქმე დაწვება — „ღამურათა“ ზოგიერთი მობურთალი კიკე სანჩეს ფლორესის მუშაობით უკმაყოფილოა. იტალიელი „პაპა“ სპორტულ დირექტორად, კონტრაქტს მიხედვით, მომავალი ორი სეზონის განმავლობაში იქნება, ხოლო „ვალენსიაში“ მის სანაცვლოდ, სავარაუდოდ, ხუან პაბლო სორინის მოუხმობენ.

ლადო ხომერიკი

ზიდანი, რობინიო და რონალდო

გიტარა ავტობუსში, ლოცვა გასახდელში

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რობინიომ გერმანულ სტადიონებზე ხალხი ფინტებით და დრიბლინგებით გააკვირვა. ბრაზილიის ნაკრებმა 2005-ში კონფედერაციათა თასზე გერმანიაში საფეხბურთო სპექტაკლი მოაწყო, რომელსაც პენტაკამპეონთა მეშვიდე ნომერმაც შემატა ეშხი და ლაზათი. მისი მიზანია, 9 ივლისს ბერლინში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იგივე გაიმეოროს. ამჯერად რობინიოს 23-ნომრიანი მაისურით ვიხილავთ.

„საშინელება იქნება, ფინალამდე რომ ვერ მივაღწიოთ, რადგანაც ბრაზილიას ყველა ტურნირის და განსაკუთრებით მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება მართებს“ — განუცხადა FIFA WORLDCUP. COM-ს რობინიომ.

მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელს მუნდიალზე გამარჯვება ძალიან უნდა, თუმცა ზედმეტად თვითდაჯერებულიც არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ყველა ტოტალიზატორი თასს პენტაკამპეონებს უწინასწარმეტყველებს, რობინიომ იცის, რომ ოქროს მედლებისკენ მიმავალი გზა ია-ვარდით მოფენილი არ იქნება: „ჩემთვის ფავორიტობა მხოლოდ მოედნის გარეთ არსებობს, მინდორზე კი თერთმეტი თერთმეტის პირისპირ ვრჩებით და წინასწარი ვარაუდებიც სადღაც ქრება. ვფიქრობ, ბრაზილიას ყველას დამარცხება შეუძლია, მაგრამ ასევე შეიძლება, ნებისმიერთან დამარცხდეს. ღრუბლებიდან ჩამოსვლა და მიწაზე მყარად დგომაა საჭირო იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიო. ვიცი, რომ არსებობენ ნაკრებები, რომლებიც მსგავსი დონის ტურნირისთვის ყოველთვის მზად არიან. მაგალითად, არგენტინა, ინგლისი და გერმანია, რომელიც ყველაფერთან ერთად სამშობლოში თამაშობს, უამრავი გულშემატკივრის თვალწინ. რაც არ უნდა მოხდეს, ბრაზილია ნებისმიერ გუნდთან მოსაგებად მზადაა“.

ბრაზილიელის ტალანტი ადრეულ, 6 წლის ასაკში ამობრწყინდა და „სანტოსმაც“ აღარ დააყოვნა ბავშვთა გუნდში მისი ჩარიცხვა. „ამ ბიჭს ყველაფერი საკმარისად აქვს, მე რომ გადამასწროს“ — თავად პელე, „სანტოსის“ ლეგენდა ამბობდა თავის დროზე. „არ მიყვარს შედარებები“ — მორცხვად აღიარებს რობინიო, თუმცა იქვე დასძენს: „თავს მაინც ამაყად ვგრძნობ ამის გამო. პელე პელეა, ის განუმეორებელია და მასთან დატოლებას ვერავინ მოახერხებს...“

„სანტოსში“ მოპოვებული წარმატების მერე გადაწყვიტა ევროპაში გაჭრილიყო. რობინიომ თავისი პირველი ევროპული სეზონი მადრიდის „რეალში“ გაატარა და ესპანეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა. „არანაირი ჯილდო არ მოგვივია, მაგრამ ზარმაცობაშიც ვერავინ დაგვადანაშაულებს — შეუპოვრად ვშრომობდით. გუნდმა კარგად ვერ ითამაშა, თუმცა საქმეს მომავალ სეზონში გამოვასწორებთ და ჩვენს გულშემატკივრებსაც ჯილდოებით გავახარებთ“ — დარწმუნებით აცხადებს ბრაზილიელი.

„ესპანეთში პირველი სეზონი ვითამაშე და ვფიქრობ, თავი არ შემირცხვენია. თუმცა ფეხბურთში ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა დავამტკიცო. მეტი შემიძლია და ამის მისაღწევად უფრო მეტიც უნდა ვიშრომო. ესპანური ფეხბურთი ბრაზილიურს ჰგავს და რაც მეტს ვითამაშებ პრიმერადივიზიონში, მით უკეთესი ჩემთვის“ — ამბობს რობინიო, რომელმაც ესპანეთის მინდვრები ფინტებით წლეულსაც საკმარისად მოქარგა.

ნაკრებში და გუნდში მისი მეგობრის, რონალდოსთვის არცთუ ისე კარგი სეზონი გამოდგა. რონის ტრავმებმა საშუალება არ მისცა იმდენი ეთამაშა, რამდენიც სურდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ კიჭას მუნდიალზე წაყვანასაც ეჭვით შეხედეს. რობინიოს კი ამ ეჭვების გაგონებაც არ სურს: „რონალდო მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელია. 2002 წლის მუნდიალამდეც ხალხს რონის ფორმა აფიქრებდა — რთული ტრავმა სულ ახალი მორჩენილი ჰქონდა და, მიუხედავად ამისა, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გულშემატკივრებმა უნდა იცოდნენ, რომ რონალდო გერმანიაში მაქსიმუმს გააკეთებს. რონალდო ყოველთვის რონალდოდ რჩება“.

რობინიომ კორეა-იაპონიის მუნდიალზე თასის გადაცემის ფიესტას შინ უყურა, ტელევიზორთან. თუმცა გასულ წელს უკვე მიიწვიეს ნაკრებში კონფედერაციათა თასზე და იქ დიდს და პატარას დაამახსოვრა თავი: „ნაკრებმა კონფედერაციათა თასზე თამაშით მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა. რა თქმა უნდა, ეს მსოფლიოს პირველობა არ იყო, მაგრამ სირთულით ბევრ ტურნირს არ ჩამოუვარდება და ეროვნული გუნდის ფეხბურთელებმაც ბევრი რამ ვისწავლეთ“.

კარლოს ალბერტო პარეირას ნაკრების ფეხბურთელები მოედანზე და მის გარეთაც მეგობრებად რჩებიან. „ეროვნული გუნდის შეკრებები დიდი სიამოვნებაა ჩვენთვის. ერთმანეთს ყველანი კარგად ვუგებთ და ჩვენთან ჩხუბს და კინკლაობას ვერ ნახავთ. მთავარი მიზანი კი, რასაკვირველია, მუნდიალის მოგებაა. ბრაზილიის მეტოქეებმა რომ იცოდნენ, ბიჭები რანაირ ომსაც უპირებენ, ნირი საბოლოოდ წაუხდებათ“ — ღიმილით აცხადებს რობინიო.

„მეომარი ბიჭები“ ხასიათის სილაღეშიც სჯობნიან სხვებს. თუ სტადიონისკენ მიმავალი სხვა გუნდების ავტობუსებში სიჩუმეა, პენტაკამპეონები თავიანთ ავტობუსს გიტარისა და ტამბურინების ჟღრიალით იკლებენ... „სულ სამბას ვუსმენთ. თამაშის წინ მუსიკით „ვივსებით“ და მერე ეს სიხარული მოედანზე გადაგვაქვს...“ — გაამხილა რობინიომ ბრაზილიის ნაკრების წარმატების საიდუმლო.

ლოცვაც არასდროს ავიწყდებათ: „ღმერთს ყოველთვის ვთხოვთ, რომ დაგვეხმაროს და დაგვიფაროს. თუმცა უფალს მარტო ბრაზილიის სიკეთეს არ ვევედრებით, არამედ მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელების ტრავმებისგან დაცვასაც ვთხოვთ. მოედანზე მხოლოდ ლოცვის შემდეგ გავდივართ“.

ლადო ხომერიკი

ფერსაცმელები ჰოდოლსკი ქუსლზე ჰიმნს წაიკითხავს

ლიონელ მესი

გერმანია 2006 შესაძლოა ყველაზე ნაირფერადი მუნდიალი იყოს მათ შორის რაც კი აქამდე გამართულა. 9 ივნისიდან 9 ივლისამდე დიდი კალეიდოსკოპია მოსალოდნელი, სადაც ფერთა სიჭრელეს მხოლოდ სხვადასხვა ნაკრების ფერებში გამოწყობილი ვარსკვლავები და მონაწილე ქვეყნების სახელმწიფო დროშები კი არ განაპირობებენ, არამედ... ბუცების ფერებიც.

დიახ, არაფერი შეგშლიათ, ფეხსაცმელზე გვაქვს საუბარი, უფრო გასაგებად კი ასეა: „ადიდასმა“ გადაწყვიტა ჩემპიონატის მონაწილე ოცდათორმეტი გუნდის თითო-თითო ფეხბურთელს ეროვნული დროშის ფერებში მორთულ-მოკაზმული ბუცები ჩააცვას. გარდა ამისა, „ადიდასი“ გამორჩეული ვარსკვლავების სპეცბუცების აღჭურვასაც გეგმავს. ასეთ სპეცწყლებს სხვებთან ერთად ჩაიცვამენ არგენტინელი ლიონელ მესი, ბრაზილიელი ზე რობერტო და გერმანელი ლუკაშ პოდოლსკი.

„მეამაყება „ადიდასი“ ფეხსაცმელს საგანგებოდ რომ მიკერავს. მხოლოდ 20 წლისა ვარ და უკვე პერსონალური ბუცების პატრონი ვხდები“ — განაცხადა პოდოლსკიმ ბერლინში, ბრანდენბურგის კარიბჭესთან, პლაკატ „ერთობის“ წინ, რომელიც გფრ-ს და გდრ-ს გაერთიანებას ეხებოდა.

„ძნელია მოძებნო სიტყვები როდესაც შენს ბუცებზე ეროვნული ჰიმნის სიტყვებია ამოტვიფრული“ — დასძინა პოდოლსკიმ, რომლის ბუცებზეც გერმანიის ნაკრების მიერ მსოფლიოს ჩემპიონატის სამჯერ მოგების აღსანიშნავად სამი ვარსკვლავი იქნება ამოტვიფრული.

შესაბამისად, ორი ვარსკვლავი იქნება ამოტვიფრული არგენტინელი მესის ბუცებზე.

„იმედი მაქვს ეს დიდებული სუვენირი წარმატებას მომიტანს მეც და ჩემს ნაკრებსაც“ — თქვა ჭაბუკმა „ბარსელონელმა“, რომელსაც ფირმა „ჟილეტმა“ საუკეთესო ახალგაზრდა ვარსკვლავის ჯილდო გადასცა.

ხორვატთაგან სპეცბუცების მორგების პატივი ნახევარმცველ მარკო ბაბიჩს ხვდა წილად.

„დიდებული ბუცებია — თქვა ბაბიჩმა — წლებია, რაც „ადიდასი“ მაცვია და კარგად ვიცი რასაც ვამბობ. ასეთი კარგი ბუცები ჯერ არ მცმია“.

ემანუელ ადებაიორი ტოგოელი ვარსკვლავია. ის ამბობს:

„ოცნება ამიხდა. პატარა რომ ვიყავი ბუცები არც კი მქონდა, ახლა კი მოდელი ვარ. საუცხოოდ ვგრძნობ ამ ბუცებში თავს. უკვე ვიცი, რომ ისინი ყოველთვის მეყვარება, რადგან ჩემი ცხოვრების პირველ მსოფლიოს ჩემპიონატს გამახსენებს“.

პაპუნა კედია



პოდოლსკის ბუცს გერმანიის ჰიმნი ამშვენებს

ვილი სანიოლი

გარეულები შინაურებში

მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ოფიციალურ სლოგანად შეიძლება „მეგობრების შეძენის დრო“ გახდეს. თუმცა მუნდიალი ძველი ნაცნობების ნახვის დროც იქნება. სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ (ცხადია, მასპინძელი გერმანიის გარდა) 31 ქვეყნის ნაკრებში გერმნაულ კლუბებში მოთამაშე 52 ლეგიონერია, რომლებიც იქაურ გარემოს უკვე არიან შეჩვეულნი და ადაპტაციის პრობლემა არ ექნებათ.

ირკვევა, რომ ნაკრებში ყველაზე მეტი, 7 „გერმანელი“ ლეგიონერი შვეიცარიელებს ჰყავთ. მეორე ადგილზე ჩეხეთი და ხორვატია არიან ხუთ-ხუთი მოთამაშით. მერე ირანი და . ბრაზილია მოდიან - ოთხ-ოთხით, რომელთაც პარაგვაი და განა მოსდევთ სამ-სამით. ტოგოს გერმანელ მწვრთნელს ოტო პფისტერს ორი ლეგიონერი ჰყავს, პოლონეთის, სერბეთის, ტუნისის, ჰოლანდიისა და აშშ-ს ნაკრებების დარად. ხოლო 10 ნაკრებს — არგენტინას, კოსტა რიკას, ეკვადორს, ტრინიდადს, მექსიკას, ანგოლას, იტალიას, ესპანეთსა და საუდეთს გერმანიიდან ერთი ლეგიონერიც არ ჰყავთ.

A ჯგუფი

პოლონეთი: იაცეკ კრჟინოვეკი (ლევერკუზენი), ები შმოლარეკი (დორტმუნდი)

B ჯგუფი

ინგლისი: ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი)

პარაგვაი: ხულიო დოს სანტოსი, როკე სანტა კრუზი (ორივე ბაიერნი), ნელსონ ვალდესი (ვერდერი)

შვედეთი: ფრედერიკ შტენმანი (ლევერკუზენი)

C ჯგუფი

კოტ დივუარი: გაი დემელი (ჰამბურგი)

სერბეთი: მლადენ კრსტაიჩი (შალკე), დანიელ ლიუბოია (შტუტგარტი)

ჰოლანდია: რაფაელ ვან დერ ვაარტი, ხალიდ ბულარუზი (ორივე ჰამბურგი)

D ჯგუფი

ირანი: მეჰდი მაჰდავიკია (ჰამბურგი), ფერეიდონ ზანდი (ლაუტერნი), ალი ქარიმი (ბაიერნი), ვაჰიდ ჰაშემიანი (ჰანოვერი)

პორტუგალია: ფერნანდუ მეირა (შტუტგარტი)

E ჯგუფი

განა: მეთიუ ამოა (დორტმუნდი), ჰანს შარპეი (ვოლფსბურგი), ოტო ადო (მაინცი)

აშშ: კეისი კელერი (გლადბახი), სტივ ჩერუნდოლო (ჰანოვერი)

ჩეხეთი: ტომაშ როსიცკი, იან კოლერი (ორივე დორტმუნდი), იან პოლაკი (ნიურნბერგი), დავიდ იაროლიმი (ჰამბურგი), ირჟი შტაინერი (ჰანოვერი)

F ჯგუფი

ბრაზილია: ზე რობერტო, ლუსიო (ორივე ბაიერნი), ჟუანი (ლევერკუზენი), ჟილბერტო (ჰერტა)

ხორვატია: ივან კლასნიჩი, იურიცა ვრანიეში (ორივე ვერდერი), ნიკო კოვაჩი, იოსიპ შიმუნიჩი (ორივე ჰერტა), მარკო ბაბიჩი (ლევერკუზენი)

ავსტრალია: ჯოშ კენედი (ნიურნბერგი)

იაპონია: ნაოჰირო ტაკაჰარა (აინტრახტი)

G ჯგუფი

საფრანგეთი: ვილი სანიოლი (ბაიერნი)

შვეიცარია: ფილიპ დეგენი (დორტმუნდი), ლუდოვიკ მანინი (შტუტგარტი), ტრანკვილო ბარნეტა (ლევერკუზენი), კრისტოფ შპიხერი (აინტრახტი), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი), რიკარდო კაბანასი, მარკო შტრელერი (ორივე კიოლნი)

კორეა: იუნგ ჰვან ანი (დუისბურგი)

ტოგო: კარიგ გუედე (ჰამბურგი B), ასიმიუ ტურე (ლევერკუზენი B)

H ჯგუფი

უკრაინა: ანდრეი ვორონინი (ლევერკუზენი)

ტუნისი: ადელ ჩედლი, იასერ მნარი (ორივე ნიურნბერგი)

გიორგი კაკაბაძე

ტულალანი ხედავს და კითხულობს

საფრანგეთის ხუთგზის ჩემპიონმა „ლიონმა“ მომავალი სეზონისთვის გაძლიერება დაიწყო. კლუბმა „ნანტისგან“ 23 წლის ნახევარმცველი ჟერემი ტულალანი 7 მილიონ ევროდ შეიძინა, ხოლო ბრაზილიელი ფორვარდი ნილმარი „კორინთიანსში“ დააბრუნა.

21-წლამდელთა ნაკრების წევრმა ტულალანმა განაცხადა: „ეს ტრანსფერი ჩემთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. მსურს, რომ „ლიონთან“ ერთად ჯილდოები მოვიგო, რადგან ჯერ არაფერი მომიგია.“

გუნდის მწვრთნელი ჟერარ ულიე გახარებული იყო: „ტულალანის შეძენა ჯერ კიდევ შარშან ზაფხულს მსურდა. იგი შესანიშნავად კითხულობს თამაშს და ხედავს მოედანს. „ლიონს“ სწორედ მისნაირი ფეხბურთელი სჭირდებოდა“.

ბელგია

კლეი ოფი. I მატჩები

ლიერსი 2:0 ვიგორი

ლომელი 2:2 ვაასლანდი

ნორვეგია

ტიპელიგა. IX ტური

მიოლდე — სტარტი 1:1; ოდ გრენლანდი — ბრანი 1:3; სანდეფიორდი — ფრედრიკსტადი 2:0; სტაბეკი — ლილესტრომი 2:2; ტრომსიო — ვიკინგი 0:0; ლინი — რუსენბორგი 1:2. *ჰამ კამი — ვოლერენგა დღეს გაიმართება*

ბრანი	9	6	3	0	17:7	21
ლილესტრომი	9	6	3	0	18:9	21
რუსენბორგი	9	3	5	1	14:9	14
ოდ გრენლანდი	9	3	5	1	11:7	14
სტაბეკი	9	2	6	1	10:9	12
მიოლდე	9	3	2	4	10:11	11
ლინი	9	3	2	4	9:11	11
სანდეფიორდი	9	3	2	4	9:12	11
ვიკინგი	9	2	4	3	8:9	10
ფრედრიკსტადი	9	2	3	4	7:14	9
ჰამ კამი	8	2	2	4	9:11	8
ვოლერენგა	8	2	2	4	6:9	8
სტარტი	9	1	4	4	7:12	7
ტრომსიო	9	1	3	5	6:11	6

I დივიზიონი. VIII ტური

ბრინი — ბოდიო გლიმტი 2:2; ფოლო — ტრიომსდალენი 1:2; ჰიოდი — სოგნდალი 1:3; ჰიონეფოსი — ალესუნდი 3:0; ლოვ ჰამი — მოსი 0:3; ოსლო იოსტი — ჰორს გრენლანდი 4:3; სპარტა — ჰაუგესუნდი 1:0; სტრიომსგოდსეტი — კონგსვინგერი 2:0

აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა

IX ტური

ჰიუსტონი — ჩიკაგო 0:1; კოლუმბუსი — ვაშინტონი 1:1; ნიუ იორკი — შივასი 5:4; დალასი — ნიუ ინგლენდი 4:0; სოლტ ლეიკი — კანზასი 2:1; ლოს ანჯელესი — კოლორადო 0:1

რუმინეთი

A დივიზიონი. XXVIII ტური

გლორია — ფარული 1:0; ვასლუი — პოლიტეხნიკა 1:1; ტიმოშოარა — ოცელული 0:2; არჯეში — დინამო 0:1; ნაციონალი — პანდურეი 3:2; კლუჟი — რაპიდი 1:3; სპორტული — სტიაუა 1:2; პეტროსანი — ბაკაუ 2:0

ავსტრია

I დივიზიონი. XXXV ტური

ალტახი — აუსტრია (ლ) 1:0; აუსტრია (მ) — ლინცერი 0:1; კაპფენბერგი — გრაკორნი 1:2; კუფშტაინი — კერნტენი 1:5; შვანენშტადტი — ლეობენი 1:2

სლოვენია

I ლიგა. XXXIV ტური

ბელა კრაინა — პუბლიკუმი 3:1; დრავა პტუი — პრიმორიე 0:0; დომზალე — კოპერი 2:0; რუდარი — ნაფტა 1:2; ნოვა გორიცა — მარიბორი 2:1

რუსეთი

თასის ფინალი

ცსკა 3:0 სპარტაკი (მ)

1:0, 2:0 ფო (43, 90), 3:0 ვაგნერ ლავი (90)

ცსკა: აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, შენბერასი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ჟირკოვი (ტატარჩუკი 89), დანი კარვალიუ (ტარანოვი 53), ალდონინი, დუდუ, ფო, ვაგნერ ლავი (გრიგორიევი 90)

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

სპარტაკი (მ): კოვალევსკი, ტამაში, შტრანცლი, კ. როდრიგესი (ოვუსუ-აბეიე 55), იენჩი, ბისტროვი, ტიტოვი, მოცარტი, კოვალჩუკი (პავლენკო 79), კავენაგი (ბაჟენოვი 46), პავლიუჩენკო

მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი

გაფრთხილება: როდრიგესი, პავლიუჩენკო, ჟირკოვი, ალდონინი, ვაგნერ ლავი, კოვალევსკი, შტრანცლი

გაძევება: მოცარტი (90)

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი

50 000 მაყურებელი

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

XXXVI ტური

კიოლნი (მ) — ჰამბურგი (მ) 0:3; კარლცაისი — დიუსელდორფი 2:3; ქემნიცი — ობერჰაუზენი 0:2; ჰერტა (მ) — ლევერკუზენი (მ) 0:3; კილი — ლიუბეკი 4:1; ოსნაბრიუკი — ემდენი 3:2; მიუნსტერი — ვუპერტალი 1:2; ესენი — ვერდერი (მ) 0:0; ვატენშაიდი — ერფურტი 1:5

სამხრეთ რეგიონალლიგა

XXXIII ტური

მიუნხენი (მ) — ელვერსბერგი 1:4; ტრირი — ბფულენდორფი 2:1; ეშბორნი — კობლენცი 1:6; კაიზერსლაუტერნი (მ) — ბაიერნი (მ) 3:0; კარლსრუე (მ) — კიკერსი 1:1; რეგენსბურგი — აალენი 0:2; ბაიროითი — აუგსბურგი 2:3; შტუტგარტი (მ) — ჰოფენჰაიმი 2:1; ვეჰენი — დარმშტადტი 3:1

დანია

I დივიზიონი. XXVI ტური

ბრიონსპიო — აკადემისკი 1:4; ჰელერუპი — იოლსტიკე 0:3; ფრედერისია — ფრემი 0:0; კოლდინგი — ფრემადი 0:3; ლიუნგბიუ — სკიოლდი 6:1; ჰერფიოლგე — ბრაბრანდი 2:1; ნიკობინგი — რანდერსი 2:4; ვაილე — ჰოიგე 2:1

ინგლისი

ჩემპიონატი

გადასასვლელი

კლეი ოფი

ფინალი

ლიდსი 0:3 უოტფორდი

კონფერენსლიგა

გადასასვლელი

კლეი ოფი

ფინალი

ჰალიფაქსი 2:3დ.დ.(2:2) ჰერეფორდი

ტულონის საერთაშორისო ტურნირი

20-წლამდელები

A ჯგუფი. II ტური

საფრანგეთი 3:0 კოლუმბია

ჰოლანდია 1:0 მექსიკა

B ჯგუფი. II ტური

არგენტინა 2:0 ჩეხეთი

პორტუგალია 0:0 ჩინეთი

იტალია

სერია B. XLI ტური

ალბინოლეფე — კროტონე 3:2; არეცო — ჩეზენა 1:0; აველინო — ვიჩენცა 2:1; ბრეშა — ტორინო 0:1; კატანძარო — კატანია 1:3; კრემონეზე — ტერნანა 2:2; მოდენა — პიაჩენცა 1:0; პესკარა — ატალანტა 2:2; რიმინი — ბოლონია 1:3; ტრიესტინა — მანტოვა 0:1; ვერონა — ბარი 2:2

ატალანტა	41	24	9	8	61:38	81
კატანია	41	20	13	8	64:42	73
ტორინო	41	20	13	8	48:31	73
მანტოვა	41	18	14	9	46:35	68
მოდენა	41	16	16	9	58:41	64
ჩეზენა	41	17	12	12	64:53	63
არეცო	41	16	15	10	42:32	63
ბოლონია	41	15	16	10	52:42	61
ბრეშა	41	15	15	11	52:40	60
კროტონე	41	17	9	15	52:46	60
პიაჩენცა	41	13	15	13	54:49	54
პესკარა	41	14	11	16	41:50	53
ბარი	41	11	17	13	42:46	50
ტრიესტინა	41	12	14	15	43:50	50
ვერონა	41	10	19	12	41:39	49
ვიჩენცა	41	13	9	19	38:49	48
რიმინი	41	11	14	16	42:49	47
ალბინოლეფე	41	10	16	15	37:50	46
აველინო	41	10	13	18	40:62	43
ტერნანა	41	7	18	16	36:56	39
კრემონეზე	41	6	12	23	36:57	30
კატანძარო	41	7	8	26	27:59	29

სერია C-ს ფინალი

საპასუხო მატჩი

ნაპოლი 1:1 სპეცია (0:0)

სერია C. კლეი ოფი

პირველი მატჩები

სანჯოვანეზე 0:0 ფროზინონე

გროსეტო 1:0 ს. ტორესი

სერია C. კლეი აუტი

პირველი მატჩები

ლუმეცანე 3:1 სამგენედეტზე

სან მარინო 1:0 პრო სესტო

იუვე სტაბია 2:1 აკირეალე

მასეზე 1:0 პიზა

შვედეთი

სუპერეტა. VI ტური

ტრელებორგი — უმეა 3:0; ასირისკა — სუნდსვალი 1:0; ბრომაპოიკარნა — ატვიდაბერგი 0:1; იონკოპინგი — მიალბი 0:2; ნორჩიოპინგი — ფალკენბერგი 2:0; იორებრო — ლიუნგსკილე 1:0; ქვიდინგი — დეგერფორსი 1:2 ვასბი — ლანდსკრონა 1:1

უნგრეთი

ბორსოდი ლიგა

XXVIII ტური

დიოშდიორი — კაპოშვარი 5:2; უიპეშტი — მტკ 1:2; დიორი — ფეჰერვარი 2:3; პეჩი — ჰონვედი 1:0; რეაკი — ლომბარდ პაპა 2:2; ტატაბანია — შოპრონი 3:2; ვაშაში — ზალაეგერსეგი 0:0; დებრეცენი — ფერენცვაროში 3:1

შვეიცარია

კლეი ოფი

ფინალი

საპასუხო მატჩი

ძსამაძსი 0:3 *სიონი* (0:0)

სარგებელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		22 მაისი						
21:00	76	ჰამარი-ვოლერენგა	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
		ფინეთი						
		22 მაისი						
19:30	108	მიუპა-კუოპიო	1.40	3.90	6.50	1.03	1.15	2.43
19:30	109	ტამპერე-მარიეჰამნი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
		ირლანდია						
		22 მაისი						
22:45	116	დუბლინი სიტი-დუბლინი	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
		ამხანაგური მატჩები						
		23 მაისი						
14:00	143	სამხრეთ კორეა-სენეგალი	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
22:00	144	ავსტრია-ხორვატია	2.55	3.10	2.45	1.39	1.24	1.36
22:00	145	აშშ-მაროკო	1.60	3.50	5.50	1.09	1.23	2.13
		24 მაისი						
21:00	146	ნორვეგია-პარაგვაი	2.20	3.20	3.10	1.30	1.28	1.57
22:45	148	ირლანდია-ჩილე	1.70	3.30	4.40	1.12	1.22	1.88
23:45	149	კოლუმბია-ეკვადორი	2.50	3.10	2.50	1.38	1.25	1.38
		25 მაისი						
14:00	150	ავსტრალია-საბერძნეთი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
17:00	151	შვედეთი-ფინეთი	1.45	3.50	6.50	1.02	1.18	2.27
		26 მაისი						
22:00	154	ჩეხეთი-ს.არაბეთი	1.40	4.00	6.80	1.03	1.16	2.51

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ეჩ. 2006 (21) პორტუგალია						
		23 მაისი						
20:15	172	სერბია(21)-გერმანია(21)	5.00	3.40	1.60	2.02	1.21	1.08
22:45	173	პორტუგალია(21)-საფრანგეთი(21)	2.70	3.10	2.45	1.44	1.28	1.36
		24 მაისი						
20:15	174	უკრაინა(21)-ჰოლანდია(21)	4.00	3.20	1.85	1.77	1.26	1.17
22:45	175	იტალია(21)-დანია(21)	1.80	3.30	4.10	1.16	1.25	1.82
		ეჩ. (19) შესარჩევი რაუნდი ბელგია						
		22 მაისი						
22:00	193	ინგლისი(19)-სერბეთი(19)	1.85	3.10	3.80	1.15	1.24	1.70
22:00	194	ბელგია(19)-ჩრდ.ირლანდია(19)	1.55	3.40	5.40	1.06	1.20	2.08
		კალათბურთი. NBA						
		22 მაისი						
23:45	250	სან ანტონიო-დალასი	1.50	12.00	2.30	1.33	1.00	1.93
23:45	251	ფენიქსი-კლიპერსი	1.50	12.00	2.30	1.33	1.00	1.93
		ჩოგბურთი						
		22 მაისი						
12:00	256	დავიდენკო-ზიბი	1.12	4.50				
12:00	257	ა მარტინი-სტარაჩე	1.60	2.00				
12:00	258	ხრბატი-შუტლერი	1.35	2.40				
12:00	259	მელზერი-კუბეკი	1.30	2.70				
12:00	260	ხორნა-მუდი	1.30	2.70				
12:00	261	სეპი-დლოუგი	1.45	2.20				
12:00	262	პაველი-ბერლოკი	1.60	2.00				
12:00	263	ჰიუტი-დანიელი	1.30	2.60				

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4	
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21	
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	თამარ მეფის №1	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29	

საქართველოს ჩემპიონატი პლეი ოფი. ფინალი

20 მაისი. ვერის ბაღი. მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეჟაშვილი. კომისარი: მურმან ქურიძე

3 ავიამშენი 74:54 აზოტი 2

13:21 20:15 16:11 25:7

	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მხ.	პს.	ჩჭ.	დფ.	ქ
დავით ბერიშვილი	18	0/2	0/0	7/8	2	0	1	1	7
ირაკლი ხოშტარია	28	6/12	2/4	4/4	3	1	3	0	22
გიორგი მარკოიშვილი	9	0/2	0/0	1/2	0	0	1	1	1
თორნიკე ნინიაშვილი	15	0/1	0/0	2/4	7	1	1	1	2
პლასიდე როდუმტა	32	0/5	0/0	7/8	9	1	0	1	7
ვახტანგ მინაშვილი	26	4/11	0/2	2/2	5	0	1	1	10
კოტე ტულუში	31	1/2	3/8	6/8	7	4	4	2	17
ამროსი ორმოცაძე	5	2/2	0/1	0/2	1	1	1	0	4
ბუბა ბერიშვილი	27	1/2	0/3	0/2	6	2	3	3	2
გიორგი ნიკოლაძე	6	1/1	0/2	0/0	0	0	0	1	2
ნიკა ჩხატარაშვილი	2	0/1	0/0	0/0	0	0	0	0	0

	წთ.	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მხ.	პს.	ჩჭ.	დფ.	ქ
ლევან ცეკვავა	26	1/3	0/2	2/2	1	2	1	2	4
ანატოლი ბოისა	25	0/2	0/2	1/4	4	1	1	1	1
მიხეილ ჭოჭუა	20	3/6	0/2	1/2	1	1	2	0	7
ჟოლივეტ ტუჯანი	34	5/10	0/0	2/4	14	2	4	1	12
ზვიად ბაბიაშვილი	27	3/7	0/5	3/4	12	1	4	2	9
რამაზ გოგობერიშვილი	21	3/7	0/4	4/7	3	2	5	1	10
დავით იმნაძე	13	1/3	1/2	0/0	6	1	0	0	5
ირაკლი ჯაფარიძე	7	1/3	0/2	2/2	1	0	0	0	4
არჩილ ჟღენტი	17	0/1	0/4	0/2	2	0	1	1	2
დავით არწივიძე	7	0/2	0/0	0/0	3	1	0	0	0
გეგი ლიპარტელიანი	3	0/0	0/0	0/0	1	0	0	0	0

ლევან მოსეშვილმა ჩემპიონობა შვილიშვილთან ერთად იზეიმა

აშენდა!

ლევან მოსეშვილმა დაბადების დღისთვის საჩემპიონო საჩუქარი მიიღო

ირაკლი პერტაია

ხვალ ლევან მოსეშვილის დაბადების დღეა და ქართული კალათბურთის ამ ბერმუხამ საჩუქრად ძვირფასი ძღვენი მიიღო — ჩემპიონობა. საქართველოს ახალი ჩემპიონი ჰყავს, ორი წლის შექმნილი „ავიამშენი“, რომელმაც ფინალური სერის მეხუთე, გადამწყვეტ ჯახში რუსთავის „აზოტი“ დაამარცხა.

„აზოტის“ მარცხი ცალკე სასაუბრო თემაა. რუსთავში ძალიან უყვართ კალათბურთი და გულიანადაც ქომაგობენ საყვარელ გუნდს, მაგრამ ოთხმაგი მცდელობის მიუხედავად, ამ ქალაქს მაინც ვერ ეწვია საჩემპიონო სიხარული. „აზოტი“ ფინალში მარცხდებოდა „ვითასთან“, „ბასკოსთან“ და „აზოტი“ დამარცხდა „ავიამშენთან“, რომელსაც ფინალური სერიის წინა ორ საშინაო მატჩში ჯამში 44 ქულა მოუგო.

ზღვა ქომაგი გამოჰყვა „აზოტს“ თავის ქალაქიდან, რათა ერთხელაც დასდგომოდა გვერდზე ოქროს ტოლფას მატჩში. ამ ხალხმა წინა საღამოს რუსთავის ტელევიზიით „აზოტის“ მოთამაშეთა თხოვნა მოისმინა, ზღვარს ნუ გადახვალთ და ღირსეულად გვიქომაგეთ მაშინაც კი, წასაგებად რომც ვიყოთ განწირულებიო. რუსთაველი გულშემატკივარიც სწორედ ასე მოიქცა — წაგებას ღირსეულად შეხვდა და, როცა „ავიამშენმა“ ბოლო წუთებში თამაშს აზრი დაუკარგა, უკმაყოფილება უმსგავსო საქციელით არ გამოუხატავს.

ისე, სიმართლე ითქვას, ქვემოქართლელ ქომაგებს არც უნდა ჰქონოდათ მძაფრი რეაქცია ჩემპიონობის მეოთხედ დაკარგვაზე. „ავიამშენმა“ ბოლო მეოთხედში ისე აჯობა „აზოტს“, რომ მოგებას ალალად იმსახურებდა. სხვა საქმეა, დაძაბულ და დრამატიზმით სავსე ფინალში რომ წაეგოთ რუსთაველებს. არადა, თამაში ისე დაიწყო და კარგა ხანს ისე თანაბრად მიმდინარეობდა, ჩემპიონის გარკვევას ბოლო წამებამდე ალბათ არავინ ელოდა.

ანგარიშიდანაც ჩანს, რომ ეს სუპერფინალი სუპერნერვიულობით იყო აღსავსე. მწირქულიანობის უმთავრესი მიზეზი, რა თქმა უნდა, მეტოქეების შერჩეული დაცვითი ტაქტიკა იყო, თუმცა ამას მოთამაშეთა ნერვიულობა და შესაბამისად გამრუდებული სამიზნეც განაპირობებდა.

თამაში ქაოტურად დაიწყო და მღვრიე წყალში თევზი უკეთ სტუმრებმა დაიჭირეს. „აზოტი“ ხისტად იდგა დაცვაში და მეტოქეს სამწამიანში არ უშვებდა. ავიატორები მოშორებიდან ვერ ლაშქრავდნენ რუსთაველთა ფარს და ხმელიძის გუნდს რამდენიმე კონტრშეტევის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. ლევან ცეკვავამ, მიხეილ ჭოჭუამ და ჟოლივეტ ტუჯანმ შანსი ხელიდან არ გაუშვეს და 3 წუთის შემდეგ „აზოტი“ 7:0 დაწინაურდა.

ლევან მოსეშვილმა წუთშესვენება მოიშველია და თავისიანები დარიგებებით დამუხტა, თუმც ავიატორებმა თამაშის რიტმში ჩაჯდომა მაინც ვერ მოახერხეს და პირველი ქულის მოპოვებას კიდევ რამდენიმე წუთი მოანდომეს — გიორგი მარკოიშვილმა საჯარიმოს ხაზიდან ანგარიში 1:9 გახადა.

„აზოტს“ კარგად მისდიოდა საქმე, მაგრამ ოთარ ხმელიძემ სრული უპირატესობის მოპოვება მოიწადინა და მანამდე ფარქვეშ შედარებით ინერტული ზვიად ბაბაშვილი დავით იმნაძით შეცვალა. იმნაძე გამოსული არ იყო, სამქულიანი რომ მოინადირა და რუსთაველ ქომაგებსაც ზეიმის საბაბი მიეცათ — 12:1.

მოსეშვილმა შეცვლებს მიმართა. ნინიაშვილის ნაცვლად როდუმტას ფარზე ვახტანგ მინაშვილი შეუწყვილა, ირაკლი ხოშტარიას კი უკანა ხაზში კოტე ტულუში ამოუყენა გვერდში. ტულუშმა „ავიამშენს“ სისწრაფე შემატა და ფეხმარდ ხოშტარიასაც მეტი გასაქანი მიეცა. მან ჯერ სამქულიანი მიითვალა და მომდევნო შეტევებშიც არ დააკლო მეტოქეს კალათს ბურთები, თუმც ამის პასუხად შეცვლაზე შემოსული რამაზ გოგობერიშვილიც ათამაშდა და „აზოტმა“ პირველი შესვენებისთვის ხელჩასაჭიდი უპირატესობა შეინარჩუნა — 21:13.

მეორე მეოთხედში მოედანზე ირაკლი ჯაფარიძე გამოვიდა, რომელმაც ავიატორთა კამერუნელ ცენტრ პლასიდე როდუმტას ლამის მუშტი-კრივი გაუმართა, ისე ხისტად მეურვეობდა. კამერუნელი შეეწროვდა, „ავიამშენმა“ კი დამრტყმელი ძალა უკანა ხაზზე გადაისროლა.

კოტე ტულუში თამამად უტევდა რუსთაველებს, რაკი უკან სწრაფი გიორგი ნიკოლაძე ეგულებოდა. საერთოდ, ამ მომენტში ორივე გუნდი ორ-ორი ნომინალური გამთამაშებლით იყო მოედანზე — „აზოტს“ უკანა ხაზში ერთდროულად ჰყავდა არჩილ ჟღენტი და დავით არწივიძე, მაგრამ ამან თითქმის არაფერი შეცვალა, „ავიამშენმა“ ჩამორჩენა ოდნავ შეამცირა და მერე საკმაო ხანს სხვაობა 4-6 ქულას შორის მერყეობდა. დიდი შესვენების ბოლო წამზე ტულუშმა სამიანი ჩაადო — 36:33 „აზოტის“ სასარგებლოდ.

ტულუშმა იგივე გაიმეორა თამაშის განახლებისთანავე და როცა ხოშტარიამაც ჯარიმებით იხეირა, „ავიამშენი“ ამ მატჩში პირველად დაწინაურდა — 38:36, ეს იყო და ისედაც ნერვიული თამაში მთლად ადრენალინით გაილუმპა. უამრავი ტექნიკური წუნის თანხლებით გუნდები ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს — ხან ერთი გალიდერდებოდა ქულით და ხან — მეორე. მესამე მეოთხედიც ასე ქულიანი სხვაობით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ირაკლი ხოშტარიამ სირენის თანხლებით ურთულესი სამქულიანი ჩაადო და „ავიამშენი“ 49:47 გალიდერდა.

ყველა დაძაბული ენდშპილის მოლოდინში იყო, ალბათ, ვერ ნახავდით კაცს, რომელსაც სჯეროდა, რომ თამაშის ბოლო ორ წუთს აზრი დაეკარგებოდა. მთელი ამ სამი თანაბარი მეოთხედის ფონზე მეტად კონტრასტული გამოვიდა გადამწყვეტი ათწუთეული, რომელშიც „ავიამშენმა“ პირწმინდად დაჯაბნა მეტოქე. მოსეშვილის გუნდს კომბინაციების ფოიერვერკი და ტაქტიკური მანევრების კალეიდესკოპი კი არ მოუწყვია, ერთადერთი რამე გააკეთა, ოღონდ ხეირიანად და ამის წყალობით იმარჯვა.

დაცვა — აი, რა იყო ავიატორთა წარმატების საწინდარი. თბილისელები საკუთარ საჯარიმოსთან განლაგდნენ და რუსთაველებს შიგნით არ უშვებდნენ. თუმცა მხოლოდ ამით არ კმაყოფილდებოდნენ და ბურთიან მეტოქეს მოედნის ცენტრშიც ავიწროვებდნენ. არც ერთ რუსთაველს, მით უმეტეს, ბურთიანს, არ ჰქონდა მოედანზე თავისუფლად გადაადგილების საშუალება, რადგან მოსეშვილის ბიჭები ნიადაგ ხელზე ესხდნენ. ამის გამო იყო, „აზოტის“ გამოცდილ თუ გამოუცდელ მოთამაშეებს ერთიანად რომ აერიათ სამიზნე.

ბოლო მეოთხედში „აზრტმა“ ერთი ხეირიანი კომბინაციაც ვერ გაითამაშა. ხმელიძე მიენდო გამოცდილ რამაზ გოგობერიშვილს, რომელიც ბურთს გაჭირვებით, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა, მაგრამ სროლაზე როცა მიდგებოდა საქმე, იღბალი არ სწყალობდა. „ავიამშენი“ კი თავის მხრივ იოლად ათამაშებდა ბურთს, ტულუშმა და დავით ბერიშვილმა როგორც იქნა, გაიღაღეს და სწრაფი კონტრშეტევებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საჯარიმოების სროლით სრულდებოდა, მოსეშვილის გუნდს საჩემპიონო ლიდერობა მოუპოვეს.

16:4 — აი ასე მოიგო „ავიამშენმა“ გადამწყვეტი მეოთხედის საწყისი 7 წუთი და მასთან ერთად სანუკვარი, საჩემპიონო თასიც. მატჩის ბოლო 20 წამი მოედანი მიმლოცველებით იყო სავსე. ეს რამდენად დასაშვებია, ვერ გეტყვით, მაგრამ მსაჯებსაც აღარ გამოუდვიათ თავი — „ავიამშენი“ უკვე მოგებული და საქართველოს ახალი ჩემპიონი იყო.

საჩემპიონო ბადურა პლასიდე როდუმტამ ისახსოვრა

2006 NBA Playoffs

ხოცვა-ჟლეტა ტეხასურად



მანუ ჯინობილიმ ბლომად ქულა-მოხსნებს პასებიც დაამატა

19 მაისი

მეორე წრე

აღმოსავლეთი

დეტროიტი 3:3 ულივლენდი

ულივლენდი 82:84 დეტროიტი

ულივლენდი: სნოუ (2), მიურეი (4), ჯეიმსი (32 ქულა, 11 მოხსნა), გუდენი (13), ილგაუსკასი (16); მარშალი (9), ვარეშაო (6), ჯონსი, ნიუბლი

დეტროიტი: ბილაფსი (15), ჰამილტონი (17), პრინსი (15), რ. ვოლესი (24), ბ. ვოლესი (4 ქულა, 10 მოხსნა); მაკდაიესი (7), ჰანტერი (2), დელკი, ევანსი

როცა დასჭირდათ, დეტროიტელებმა მაშინ გამოამჟღავნეს ნერვების სიმტკიცე, ის, რის გარეშეც ვერც ნბა-ში და ვერც სხვა ნებისმიერ სერიოზულ ლიგაში თუ ტურნირზე ვერაფერსაც ვერ მოიგებ. ბოლო სამი წლის აღმოსავლეთის საუკეთესო გუნდს „ულივლენდთან" ზედიზედ სამი წაგების შემდეგ არც ამჯერად შეხვდა სასეირნო მატჩი. ასოციაციის ერთ-ერთ გაუვალ დაცვას კვლავ მოარგო თავისი უნივერსალური გასაღები „ულივლენდის" 21 წლის მზეჭაბუკმა ლებრონ ჯეიმსმა, მაგრამ მთლიანობაში „დეტროიტმა" მაინც გაუძლო მასპინძელთა მოძალებას, იქით მიაწვა და გადაანგრია.

„ჩვენ ადრეც ვყოფილვართ მსგავს სიტუაციაში და ვიცით, როგორ მოვიქცეთ: არ უნდა ავყვეთ პანიკას" — ამბობს „დეტროიტის" ცენტრი ბენ ვოლესი.

გამორჩეული მატჩი ჰქონდა ბენის ყბედ მოგვარეს, რაშიდ ვოლესს, რომელიც აქამდე თამაშამდელ თუ ნათამაშევ კომენტარებში მიკროფონ-დიქტოფონიანი ხალხის თავზევით უფრო ხშირად ჩანდა, ვიდრე თამაშში. მისი გუნდიც აკი სულ აგებდა, მაგრამ აი, ვოლესს ჭკუა ეყო — ალბათ, სილა შემოჰკრეს და ასე გამოაფხიზლეს — პირი მაგრად მოკუმა და სერიოზულად მოჰკიდა ბურთს და საქმეს ხელი. თავისიანებში ყველაზე მეტი ქულაც სწორედ მას მოუგროვდა.

„დეტროიტს" და მით უმეტეს, რაშიდს უშეცდომოდ არ უთამაშიათ — შეუცდომელი არც ჯორდანი იყო — მაგრამ სტუმრად მოთამაშე ვიცე-ჩემპიონები „სიკვდილ-სიცოცხლის" ზღვარზე მყოფი გუნდის კვალობაზე მაინც მშვიდად აკონტროლებდნენ მატჩს, მოიგეს, გავარდნას გადარჩნენ და სერია მეშვიდე ჯახამდე მიიყვანეს, რომელსაც თავად მასპინძლობენ.

ლებრონ ჯეიმსის წყვილი საჯარიმოს შემდეგ „დეტროიტმა" ბოლო წუთებზე ლიდერობა დაკარგა — 76:77. მაგრამ შემდეგ შეტევაში რაშიდმა სამი ქულა გააკეთა და თავისი გუნდი საბოლოოდ დააწინაურა, რასაც ჩონსი ბილაფსმა ორიანიც მიაყოლა და 2,21 წუთით ადრე „დეტროიტმა" 4-ქულიანი ფორა შეიქმნა. ლებრონმა იმდენი იბორგა, სტუმრებს ორი ჯარიმა დასტყუა, ოთხივე ჩაადო და „ულივლენდი" 81:83 მიაახლოვა მეტოქეს, საფინალო სირენამდე წუთი რომ რჩებოდა. ბილაფსს მანამდე საჯარიმო არ აუცილებია, დამთავრებამდე 10 წამით ადრე კი ორიდან მხოლოდ ერთი გმოიყენა და 84:81 ანგარიშზე „ულივლენდს" შანსი დაუტოვა. მაგრამ სტუმრებმა იყოჩაღეს, ლებრონზე დაჯარიმდნენ და მასპინძლებს სამიანის სროლის შანსი არ მისცეს. ჯეიმსმაც პირველი ჩაადო, მეორე კი იმ იმედით ააცილა, მოვხსნით და ჩავაგდებთო... არ გამოვიდა.

დასავლეთი

სან ანტონიო 3:3 დალასი

დალასი 86:91 სან ანტონიო

დალასი: ჰარისი (7), სტეკჰაუსი (10), ჰოვარდი (17), ნოვიცკი (26 ქულა, 21 მოხსნა), დიოპი (2); ვან ჰორნი (10, დანიელსი (8), დამარე (6), არმსტრონგი, გრიფინი

სან ანტონიო: პარკერი (8), ჯინობილი (30 ქულა, 10 მოხსნა), ფინლი (16), ბოუენი, დანკანი (24); ჰორი (6), ბერი (5), ვან ექსელი (2), უდრიჰი, ობერტო

ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩება, სანამ ამ ტეხასელთა ხოცვა-ჟლეტაში ვინმეს მართლა არ მოკლავენ, სერია მანამდე არ მორჩება. აქაც ბოლო ჯახამდე მივიდა საქმე. 1:3 ჩამორჩენის შემდეგ ჩემპიონმა „სან ანტონიომ" შინ და გარეთ თითო მოგება გამოჭედა და ისევ შინ დაბრუნდა, სადაც იშვიათად აგებს. თუ ჩემპიონებმა „დალასს" ზედიზედ მესამეც მოუგეს, პლეი ოფის ისტორიაში მერვე გუნდად შევლენ, 1:3 ჩამორჩენის შემდეგ საბოლოო გამარჯვებას რომ მიაღწიეს.

ეს შეხვედრაც წინებზე არანაკლებ მღელვარე და დაძაბული გამოვიდა, მაგრამ ნბა-ს კომისარმა დევიდ შტერნმა და მისი ტახტრევნის დამტარებლებმა ამ დაუვიწყარი სერიის მე-6 თამაშს წინდაწინვე დააკლეს მარილი და ლაზათი. მე-5 მატჩში დალასელთა ერთ-ერთმა ლიდერმა ჯეისონ ტერიმ მსაჯთან ლაპარაკის დროს გაურკვეველი მიმართულებით ხელი აიქნია, თუ გაიქნია, თუ ჩაიქნია და ნბა-ს დიდმოხელეებმა მას ერთთამაშიანი დისკვალიფიკაცია არ „დაამადლეს", რითაც „დალასი" გვარიანად აზარალეს. „სან ანტონიოსთან" სერიაში ტერი საშუალოდ 18 ქულას უხვევს „დალასს", ამასთან, ის გამთამაშებელია და მნიშვნელოვნადაც განსაზღვრავს თავისი გუნდის შეტევათა მიმართულებას. სწორედ მე-6 თამაშში გამოჩნდა, რამდენს ნიშნავს კარგი გამთამაშებელი გუნდისთვის. ტერის გარეშე, საერთოდ, არ წაუვიდა თამაში უკანა ხაზში მის მეწყვილე დევინ ჰარისს, რომელიც აქამდე 15 და მეტ ქულას უყრიდა თავს. ახლა კი ორიენტაციადაკარგულმა და მოწინააღმდეგეთაგან გვარიანად შევიწროებულმა 14 სროლიდან 11 ააცილა და 7 ქულა ძლივს შეაკოწიწა. თუმც მან ის მაინც შეძლო, სანანტონიოელ ოპონენტ პარკერს ფრთები შეუკვეცა და 8 ქულა აკმარა.

მაგრამ „დალასს" ჰყავს დირკ ნოვიცკი, კაცი, რომელმაც არაბუნებრივად კარგი თამაში ბუნებრივ და ყოველდღიურ მოვლენად აქცია. ახლა ნოვიცკიმ 26 ქულას 21 მოხსნა მოაყოლა. მისი ყოჩობით მასპინძლებმა 6-ქულიანი უპირატესობაც შეიქმნეს (ანგარიშში ყველაზი დიდი სხვაობა 8 ქულა იყო), მაგრამ მესამე მეოთხედში დალასელებს ყოფილმა მათიანმა ჩასცა ლახვარი — ზუსტად ერთი წლის წინ ამ გუნდიდან გაძევებულმა აწ კი „სან ანტონიოს" დამწყებ ხუთეულში დამკვიდრებულმა მაიკლ ფინლიმ მესამე 12-წუთეულში 10 ქულა გააკეთა და მეოთხეში ორივე გუნდს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუხდა. „სან ანტონიომ" იყოჩაღა, ოდნავ დაწინაურდა, მაგრამ არა იმდენად, რომ „დალასს" ხელი ჩაექნია. დროის ამოწურვამდე 6,9 წამით ადრე, როცა მასპინძლები 86:89 აგებდნენ, ბურთი ისევ ნოვიცკის მიუვიდა, დირკმაც სამიანის სროლა დააპირა, მაგრამ მაიკლ ფინლიმ ხელი შეუშალა და „სან ანტონიო" გადარჩა. დარჩენილ წამებში ტონი პარკერმა წყვილი საჯარიმოთი სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა.

კოტე ყორღია

AFP ჰამბურგიდან

ტომი რობრედომ პირველი მასტერს-ტიტული მოინაგრა

რობრედოს თიხა ჰამბურგში ამღერდა

მასტერსი
კაცები. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი.
საპრიზო 2 450 000 $

ნახევარფინალი

ტომი რობრედო (8, ესპანეთი) — მარიო ანჩიჩი (12, ხორვატია) — 7:5 6:4; **რადეკ შტეპანეკი** (15, ჩეხეთი) — ხოსე აკასუსო 6:4 7:6

ფინალი

ტომი რობრედო (8, ესპანეთი) — **რადეკ შტეპანეკი** (15, ჩეხეთი) 6:1 6:3 6:3

ქალები
რომი. იტალია
თიხნარი
საპრიზო 1 340 000 $

ნახევარფინალი

მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — ვინუს უილიამსი (9, აშშ) 0:6 6:3 6:3; **დინარა საფინა** (16, რუსეთი) — **სვეტლანა კუზნეცოვა** (7, რუსეთი) 3:6 6:4 7:5

მარტინა ჰინგისს შანსი აქვს, ჩოგბურთში დაბრუნების შემდეგ პირველი ტიტული მოიგოს. ეს შანსი შვეიცარიელს შაბათს, თავის ძველ მეტოქე ვინუს უილიამსის დამარცხების შემდეგ მიეცა.

არადა, ჰინგისმა ძალიან ცუდად დაიწყო და ზედიზედ შვიდი გეიმი წააგო. თუმც ამ პერიოდში, როგორც ჩანს, კარგად შეისწავლა მეტოქის სუსტი წერტილები და მეორე სეტის მეორე გეიმიდან მოყოლებული დიდებულად ითამაშა. მან ტემპსაც უმატა და შეცდომებსაც უკლო, მაგრამ ყველაზე მეტი სარგებელი უილიამსის ბექჰენდზე უსუსურმა თამაშმა მოუტანა.

ჰინგისს წლეულს უკვე მეორე ფინალში ვიხილავთ. აქამდე მან ტოიკოს გადამწყვეტ მატჩშიც ითამაშა, თუმც იქ ელენა დემენტიევასთან დამარცხდა. ეს მარტინას 30-ე გამარჯვება იყო წლეულს და ამ მაჩვენებლით იგი მხოლოდ ნადია პეტროვას (33 მოგება) ჩამორჩება.

რომის უმთავრეს სენსაციად კი დინარა საფინა იქცა — მან ფინალის გზაზე თანმიმდევრობით ჩამოიტოვა თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის ისეთი გრანდები, როგორებიც არიან: კიმ კლაისტერსი, ელენა დემენტიევა და სვეტლანა კუზნეცოვა.

საფინასა და კუზნეცოვას ნახევარფინალი კი ნამდვილი ბრძოლა გამოდგა — ორსაათნახევარიან ბატალიაში მეტი ძალები დინარას შერჩა და ფინალშიც ის გავიდა.

ჰამბურგული ფინალი კი ისეთი ვერ გამოდგა, როგორსაც ელოდნენ — რადეკ შტეპანეკმა ვერაფერი დაუპირისპირა ტომი რობრედოს. ჩეხი, ჩანს, ვერ უმკლავდება ხოლმე საფინალო სტრესს — უკვე მეორედ იყო მასტერსის ფინალში და ისევ უშანსოდ წააგო. რობრედომ კი, რომელმაც მანამდე ასევე უშანსოდ დატოვა ხორვატი მარიო ანჩიჩი, კარიერაში პირველი საოსტატო ტურნირი მოიგო, სულ მესამე ტიტული მითვალა და ამ გამარჯვებით კიდევ ერთხელ მიანიშნა ყველას, რომ დამდეგ „როლან გაროსზე" ერთ-ერთ ფავორიტად უნდა ჩაითვალოს.

კახა ლომაჯვილი

AFP რომიდან

მარტინა ჰინგისი

გარდაუვალი მიგრაცია
ქართულ კრივს მომავალი ეცლება

ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველომ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი დაკარგა. უცხოეთში წასულთა და მერე იმ ქვეყნების სახელით გამარჯვებულთა ჩამოთვლას აღარ დავიწყებთ, თავადაც ბევრი გაგახსენდებათ. უბრალოდ, მოსალოდნელ, თითქმის გადაწყვეტილ ამბავზე შევჩერდებით. ახლო მომავალში საქართველოს ოთხი პერსპექტიული მოკრივე დატოვებს.

კახა ჟვანია, ლევან ღვამიჩავა და ბექა ლობჟანიძე — ამ ბიჭებზე, დაყრდნობით ქართული კრივის პერსპექტივაზე ხმამაღალი საუბრის წამოწყება შეიძლება. კონსტანტინე კუპატაძეს კი თავისი ძალა აქამდეც დაუმტკიცებია — 20 წლისამ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაო მოიპოვა.

პირველი სამეული ირლანდიაში მიემგზავრება, სადაც პროფესიულ კრივზე გადაერთვებიან და საკრივო დიდებას თუ არა, ღირსეულ ფინანსურ ანაზღაურებას მაინც გაინაღდებენ. რაც შეეხება კუპატაძეს, იგი სამოყვარულო კრივში დარჩება და სავარაუდოდ ესტონეთის ნაკრების სახელით გამოვა. აქაურობაზე გულაცრუების მიზეზი კი აბა, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ფული. უფრო ზუსტად კი — უფულობაა

კობა კუპატაძის მზერა უცხოეთისკენაა მიპყრობილი

გადგრ ალექსანდრეს ფოტო

„საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დაახლოებით თვენახევარი ვიფიქრე და უკვე აზრს ველარავინ შემაცვლევინებს — გვითხრა გუშინ *კუპატაძემ* — ის, რაც ბოლო თვეებში გადავიტანე, თავმოყვარე ადამიანისთვის ძალიან ძნელია, ორი გზა დამრჩა — ან უნდა წავსულიყავი, ან სპორტისთვის თავი დამენებებინა და სხვა საქმე წამომეწყო ოჯახის სარჩენად. ჯერ 23 წლის ვარ, საქმით, რომელიც ყველაზე კარგად გამომდის, კიდევ ბევრის მიღწევა შეძიძლია და მას ვერაფრით ვერ შევეშვები. კარიერას იქ გავაგრძელებ, სადაც სპორტის გარდა სხვა პრობლემებზე ფიქრი არ მომიწევს. საქართველოში, სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა აღარ მაქვს.

...რამდენიმე თვის წინ დავოჯახდი. ოლიმპიური ფონდიდან და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტიდან ყოველთვიურად 850 ლარამდე ვიღებდი, რითაც თავის რჩენაც შემეძლო და ოჯახისაც, მაგრამ მოულოდნელად ხელფასი 80 ლარამდე შემიმცირეს. ეს ჩემთვის იმხელა დარტყმა იყო, ერთხანს ვარჯიშზე გულიც კი ამიცრუვდა. თან იმ პერიოდში ხელის ტრავმა მქონდა, რის გამოც საქართველოს ჩემპიონატიც გამიცდა. ფედერაციაში და ნაკრებშიც მაშინ აირია მდგომარეობა და ნელნელა ვიგრძენი, რომ ჩემზე ხელი ჩაიქნიეს. არადა, ყველაზე მეტად მაშინ მჭირდებოდა გვერდში დგომა. უცხოეთიდან მიმზიდველი შემოთავაზებები ადრეც ბევრი მქონდა, მაგრამ წასვლაზე არ მიფიქრია. მინდა, თქვენი საშუალებით ყველა გულშემატკივარს ვთხოვო, კარგად გაიაზროს ჩემი მდგომარეობა და მერე განმსაჯოს. მოღალატედ ნუ ჩამთვლით. ტვირთად ისიც მეყოფა, ჩემი დროშის ქვეშ და ჩემი ქვეყნის სახელით რომ ვერ გავალ რინგზე.

...ჯერჯერობით ყველაზე რეალური ესტონური ვარიანტია, მაგრამ უახლოეს დღეებში შეიძლება სხვაც გამოჩნდეს. საკმაოდ სერიოზული შემოთავაზებები მაქვს პროფესიულ კრივში გადასვლასთან დაკავშირებით გერმანიიდან და ავსტრალიიდან, თუმც ამაზე არც ვფიქრობ. მინდა, მოყვარულებში დავამტკიცო ჩემი ძალა, ყველას დავანახო, რომ მეტ დაფასებას ვიმსახურებდი.

...კრივის ფედერაციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილს პირადად არასოდეს შევხვედრილვარ, თუმც გადმოცემით ვიცი, რომ ძალიან დაინტერესებულია, საქართველოში კრივის განვითარებით. ნაკრების ახალი თავკაცის დავით ცერცვაძის მხოლოდ პიროვნულ თვისებებზე შემიძლია საუბარი. კარგი ადამიანია, იმედია, საქმესაც კარგად გაართმევს თავს. მისი ზედამხედველობით ძალიან ცოტა ხანს ვივარჯიშე ბაკურიანული შეკრებისას, მერე კი გუნდი მივატოვე და თბილისში წამოვედი ფინანსური პრობლემების გამო. ისეთ მდგომარეობაში ვიყავი, მხოლოდ სპორტზე ვერაფრით ვიფიქრებდი. უგულო ვარჯიშით კი წარმატებაზე ფიქრი გამორიცხულია. არ მინდა, ვინმეს ეწყინოს, მაგრამ ერთსაც გეტყვით — ყველაზე დიდი შეცდომა ნაკრების მწვრთნელის თენგიზ მესხაძის თანამდებობიდან დათხოვნა იყო. იგი მუხლჩაუხრელად მუშაობდა, უპერსპექტიულეს გუნდს აკეთებდა და ცოტაც რომ დასცლოდა, შედეგს ყველა თვალნათლივ დაინახავდა.

...ჟვანია, ლობჟანიძე და ღვამიჩავა ძლიერი მოკრივეები დადგებიან. მათი წასვლაც ერთი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში სპორტსმენებს სათანადოდ ვერ ან არ აფასებენ. ამ ბიჭებმა გადაწყვიტეს, თვითონ აიწყონ კარიერა და ცხოვრება. ბევრმა პერსპექტიულმა მოკრივემ ეს ვერ შეძლო და აქტიურ სპორტს დროზე ადრე დაემშვიდობა. მინდა ახლო მომავალში საქმე სასიკეთოდ შეტრიალდეს და ჩვენ უკანასკნელნი ვიყოთ, ვინც გაჭირვებას გაექცა. დარჩენილ მოკრივეებს და მთლიანად ქართულ კრივს დაუთვლელ ოქრო-ვერცხლს ვუსურვებ“.

ჟვანია-ლობჟანიძე-ღვამიჩავას პროფესიონალებში გადასვლის სურვილი და გარდაუვალობა ნაკრების თავკაცმა *დავით ცერცვაძემაც* დაადასტურა. კუპატაძის შესახებ კი ვერაფერი გვითხრა:

„სამწუხაროდ, ეს სამეული უკვე საბუთებს აგროვებს და მათ არათუ მომავალ ევროპის ჩემპიონატზე, იქამდე ჩასატარებელ საერთაშორისო ტურნირზეც ველარ დავიხმართ. ისეთი პირობები შეთავაზეს, აქ რომ ვერაფრით შევუქმნიდით. არადა, ეს 20-22 წლის ბიჭები ქართული კრივს აუცილებლად გამოადგებოდნენ. ჟვანია ივლისში ჩასატარებელ ევროპის ჩემპიონატზევე შეძლებდა მედლისთვის ბრძოლას.“

სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში მოკრივეების მიგრაციაზე არაპირდაპირი გზებით შეიტყვეს.

„სამეულის თაობაზე ირლანდიის საელჩოდან მოგვმართეს. აინტერესებდათ, ღვამიჩავა, ლობჟანიძე და ჟვანია მართლა სპორტსმენები იყვნენ თუ არა — გვიამბობს დეპარტამენტის თავმჯდომარე *დავით ნამგალაური* — რა თქმა უნდა, დავადასტურეთ, რომ ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ნიჭიერი სპორტსმენების დაკარგვის პერსპექტივა არ გვხიბლავს. სამწუხაროდ, გადაწყვეტილება პირადად მიიღეს. ჩვენ კი არანაირი ბერკეტი არ გვაქვს, ხელი შევუშალოთ, ისინი ხომ სამოყვარულოდან პროფესიულ კრივში გადადიან. რაც შეეხება კუპატაძეს, მას წასასვლელად ჩვენი თანხმობა დასჭირდება. ყველანაირად ვეცდებით, ეს ოთხეული როგორმე შევინარჩუნოთ და ვაგრძნობინოთ, რომ ქართული სპორტისთვის ძალიან საჭირონი არიან.

...ხელფასის ოდენობა შედეგებით რეგულირდება და თუ რომელიმე თუნდაც ტიტულიანმა სპორტსმენმა შედეგი ველარ აჩვენა, ანაზღაურებაც შესაბამისად შეუმცირდება. ცალკე საუბრის თემაა პერსპექტიული სპორტსმენები, რომელთაც ფედერაციები ასახელებენ და მერე სიას დეპარტამენტში გვიგზავნიან. სახელფასო ბადეში, რომელიც ჯერ კიდევ ძველმა ფედერაციამ მოგვაწოდა, ბევრი რამაა შესაცვლელი. ახლო მომავალში ყველაფერი დარეგულირდება. 23 წლის ბიჭი რომ ევროპის პრიზიორია, ის ნამდვილად პერსპექტიულია და 80 ლარსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იღებდეს. მინიმალური ანაზღაურება 200 ლარი მაინც უნდა იყოს. ეს მხოლოდ დეპარტამენტის დაფინანსებით. ამას კი ოლიმპიური ფონდისა და ფედერაციისაგან დაწესებული ხელფასებიც დაემატება. მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური მედლების მომპოვებლები დამატებით თანხებს მიიღებენ.

...კუპატაძეს ვერაფრით ვერ გავამტყუნებ, მის ადგილზე მეც სერიოზულად დავფიქრდებოდი, თავისთვის მეშველა. ვწუხვარ, მაგრამ დეტალების შესახებ აქამდე არ ვიცოდი. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ინფორმაციულმა ვაკუუმმა ეს შედეგი მოიტანა. პერსპექტიული სპორტსმენები კი არ უნდა დავკარგოთ, პირიქით, უნდა მოვიზიდოთ და ისეთი პირობები შევუქმნათ, რომ თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ. ფედერაციის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილთან ერთად უახლოეს დღეებში შევხვდები მოკრივეებს და კრივის პერსპექტივაზე ერთად დავილაპარაკებთ. სახელფასო ბადის განახლებასთან დაკავშირებით კი ფედერაციას უკვე მივმართეთ.“

ოთარ მაღლაკელიძე

სუმო

ხაკუხო და ქართული კატიკოსები

მაისს ბაშო ლევან ცაგურიამ დადებითი ბალანსით — კატიკოსით ჩაამთავრა და მომდევნო, ივლისის ბაშოზე უძლიერეს რიკისითა რეიტინგსიაში მაღლა აწევაც აქედანვე გაინაღდა. გადამწყვეტი, მერვე გამარჯვება კოკაის ბოლოსწინა ტურში შეძლო გამოცდილ სეკივაკე კოტომიცუკისთან. ბოლო დღეს კატიკოსის სამ ქულამდე აყვანაც შეეძლო, თუმც დასავლეთის პირველ მაგაშირა კისენოსატოსთან წაგო და ერთს დასჯერდა.

იმპერატორის თასის მფლობელის გამოვლენას თხუთმეტი ტურიც არ ეყო. 21 წლის ოძეკი ხაკუხომ და 28 წლის სეკივაკე მიაბიამამ თოთხმეტ-თოთხმეტი ქულა მიითვალეს და კეტეი-სენი, იგივე სუპერფინალი გახდა საჭირო. იქ კი უფრო ძლიერი ხაკუხო აღმოჩნდა და კარიერაში პირველი დიდი ბაშო მოიგო.

კატიკოსებით ჩაამთავრეს ტურნირი სუმოს მეოთხე კატეგორიაში მოჭიდავე ქართველებმაც. ლევან ცაგურიას უმცროსმა ძმამ გიორგიმ (ცუკასუმი) და თეიმურაზ ჯულელმა (ვაგამარუ) საივლისო რეიტინგში აღმასვლა, კოკაის დარად, ვადაზე ადრე გაინაღდეს.

ოთარ მაღლაკელიძე

ხაკუხომ იმპერატორის თასი პირველად ჩაიხუტა

AFP ტოკიოდან

ფრენბურთი

სტოკჰოლმში, როგორც თბილისში
შვედეთი 3:0 საქართველო
25:14, 25:12, 25:20

გუშინ საქართველოს კაც ფრენბურთელთა ნაკრებმა 2007 წლის ევროის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩიც წააგო შვედეთან. თბილისშიც და სტოკჰოლმშიც ქართველები ერთნაირი ანგარიშით დამარცხდნენ და შესარჩევი ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ. როგორც საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა შვედეთიდან გვაცნობა, ჩვენებს ტრავმების გამო არ ჰყავდათ ძირითადი შემადგენლობის ლიდერები, ახლახან „გაქართველებული“ თურქი მერთი ელითეზი და სოსო ლობჟანიძე. შვედეთის ნაკრებში ძალიან უყოჩაღია იმათ ლიდერს, ორმეტრიან მარკუს ნილსონს, რომელსაც ამოუსუნთქვის საშუალებაც არ მიუცია ქართველებისთვის. ასეა თუ ისე, ჩვენები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს გამოეთიშნენ, თუმც მთავარია, რომ როგორც იქნა, ნაკრები გვყავს და თუ ფინანსებიც იქნება, ჩვენი ფეხბურთელები, შვედებზე აღარაფერს ვამბობთ და უფრო ძლიერ მეტოქეებთან თანაბრად თამაშსაც შეძლებენ.

მსოფლიოს ჩემპიონატი 2006. რიგა

AFP რიგიდან

ოლიმპიური ჩემპიონი შვედები მსოფლიოს ფინალშიც გავიდნენ

პურმარილი შვედურ მაგიდაზე

მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ჩეხეთი ოლიმპიური ჩემპიონის, შვედეთის წინააღმდეგ — ამა ზე უკეთეს ფინალს ვერც კი ისურვებდა ჰოკეის ქომაგი. ინტრიგა დიდი იყო, მაგრამ მოლოდინმა არ გაამართლა — სკანდინავიელებმა პირველივე პერიოდში ორი შაიბა გაუტანეს სლავებს, მეორე მესამედში კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი და ნახსენებ ინტრიგას წერტილი დაუსვეს. შვედებმა 4:0 დაამარცხეს მოწინააღმდეგე და იშვიათი დუბლი გაახერხეს — ტურინში მოპოვებულ ოლიმპიურ ოქროს რიგაში მსოფლიოსი დაამატეს.

მანამდე კი იყო ნახევარფინალები...

ნახევარფინალი

ჩეხეთი 3:1 ფინეთი

0:1 ჰალი (9), 1:1 პლეკანეცი (29), 2:1 ვიბორნი (57), 3:1 ჰლინკა (60)

როგორც ჩანს, ჩეხები სულაც არ არიან წინააღმდეგი, თავიანთი საუკეთესო შედეგი გაიმეორონ. 1999-2001 წლებში ზედიზედ სამი მსოფლიოს ოქროს მოპოვების შემდეგ ჩეხები ცდილობენ, 2005 წლის მოგებას რიგაში გამარჯვებაც დაამატონ. აქამდე მათ ერთი ნაბიჯი აშორებთ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ შვედებმა გაცილებით მეტი ენერგია დახარჯეს კანადასთან ჯახში, ეს შანსები საკმაოდ რეალურია. ვერ ვიტყვით, თითქოს ჩეხებს საერთოდ არ გასჭირვებიათ მოგება. ისინი დიდხანს აგებდნენ, შემდეგ გაათანაბრეს და მხოლოდ თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გაიტანეს გადამწყვეტი გოლი. ფინელები გაცილებით მეტს ურტყამდნენ, მაგრამ ეს სწორედ ისეთი ტიპის თამაში იყო, რომელშიც ჩეხები ნებისმიერ მეტოქესთან ხშირად გამოდიან გამარჯვებულნი. დაწყებული მატჩის შუაგულიდან, თამაში პრაქტიკულად გოლამდე მიდიოდა და მსოფლიოს ჩემპიონებმა ეს მარჯვედ გამოიყენეს. მცველ ლუომას მიერ წესების დარღვევა ძვირად დაუჯდა ფინელებს, რიცხვმრავლობაში ჩეხებმა მარტივი კომბინაცია გაითამაშეს და გუნდის კაპიტანმა დავიდ ვიბორნიმ ოსტატურად შეუცვალა მიმართულება შაიბას შორეული დარტყმის შემდეგ. ფინელთა შტურმი ბოლო წუთებზე-მათ ცარიელ კარში გატანილი გოლით დასრულდა.

შვედეთი 5:4 კანადა

1:0 კრონვალი (2), 2:0 ი. იუნსონი (5), 1:2 კოლდერი (9), 1:3 მარტენსონი (12), 2:3 კომრი (17), 2:4 სამუელსონი (22), 2:5 ნორდკვისტი (23), 3:5 კროსბი (40), 4:5 ბერჯერონი (45)

ვუნდერკინდების — სიდნი კროსბისა და პატრის ბერჯერონის უდიდესი ძალისხმევაც არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა კანადა ფინალში გასულიყო. ვინაიდან ფორა, რომელიც ჰოკეის დამაარსებლებმა მისცეს მეტოქეს, ზედმეტად დიდი აღმოჩნდა. სანამ კანადელებს „ეძინათ", შვედებმა თავიანთი ჩვეული, კომბინაციური ჰოკეი მოახვიეს მათ თავს და ხუთჯერ დალაშქრეს მეტოქის კარი. განსაკუთრებით ვეტერანი მიქაელ ნიულანდერი ბრწყინავდა. უდავოდ ნიჭიერმა პლეიმეიკერმა ვერ გამოამჟღავნა თავისი პოტენციალი ნჰლ-ში, მაგრამ დიდ ევროპულ მოედნებზე ის გაცილებით თავისუფლად გრძნობს თავს და ეს კანადელებმა თავიანთ თავზე გამოსცადეს. ხუთი გოლიდან სამი სწორედ ნიულანდერის პასების შემდეგ გავიდა. შეიძლება თამაში ასე, შვედების იოლი გამარჯვებით დასრულებულიყო, მაგრამ მეორე პერიოდის ბოლო წუთზე მათ კროსბი გააბრაზეს. 18 წლის ვარსკვლავს გოლის გატანის სიხარული შვედმა მიიკა ჰანულამ ჩაამწარა, ყვანჯი უთავაზა. ჰანულა თამაშის ბოლომდე გაძევეს, ყინულზე შეხლა-შემოხლა ატყდა, ხოლო შესვენების შემდეგ შვედებმა იხილეს, როგორია გაცხარებული კროსბი. თითქმის ყველა ცვლაში ნორჩი კანადელი საფრთხეს უქმნიდა მეტოქის კარს, რამდენიმე მომენტი თავად ვერ გამოიყენა და ერთი-ორი პარტნიორებმაც გააცუდეს, მაგრამ კროსბის სასწაული პასის შემდეგ ჰოკეის გამომგონებელთა მეორე ახალგაზრდა ლიდერმა, პატრის ბერჯერონმა მაინც იხეირა, თუმც კანადამ მეტს ველარ მიაღწია.

ჯირო დიტალია 2006. 6-28 მაისი

19 მაისი. მე-12 ეტაპი. ლივორნო — სასტრი ლიმანტეზე. 171 კმ

1 რობი მაკიენი (ავსტრალია, ლოტო)	5სთ 24წთ 13წმ
2 ოლაფ პოლაკი (გერმანია, T-Mobile)	
3 ტომას ვაიტკუსი (ლიტვა, A2-R)	ორივე იგივე დრო

20 მაისი. მე-13 ეტაპი. ალესანდრია — ლა ტუილი. 218 კმ

1 ლეონარდო პიეპოლი (იტალია, საუნიე დიუვალი)	5სთ 21წთ 12წმ
2 ივან ბასო (იტალია, CSC)	+44წმ
3 ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი)	1წთ 19წმ

21 მაისი. მე-14 ეტაპი. აოსტა — დიმოდოსოლი. 223 კმ

1 ლუის ლავერდე (კოლუმბია, კერამიკა პანარია)	5სთ 27წთ 5წმ
2 ფრანსისკო პერეს სანჩესი (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	იგივე დრო
3 პაოლო ტირალონგო (იტალია, ლამპრე)	+7წმ

საერთო ჩათვლა

1 ივან ბასო (იტალია, CSC)	55სთ 28წთ 25წმ
2 ხოსე გუტიერესი (ესპანეთი, ფონაკი)	+3წთ 28წმ
3 პაოლო სავოლდელი (იტალია, დისქოვერი)	+5წთ 30წმ
4 ვლადიმირ ბელი (იტალია, სელე იტალია)	+7წთ 35წმ
5 ჯილბერტო სიმონი (იტალია, საუნიე დიუვალი)	+8წთ

M-tel მასტერსის ტურნირი

9-21 მაისი. სოფია. ბულგარეთი

X ტური

რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)	0,5:0,5	ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)
პეტრ სვიდლერი (რუსეთი)	0,5:0,5	გატა კამსკი (აშშ)
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	1:0	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)

სოფია და ვიქტორია ტოპალოვის შემოქმედებაში

სუპერტურნირის გამარჯვებული, ზედიზედ მეორედ, მსოფლიოს ჩემპიონი ვესელინ ტოპალოვი გახდა. სუსტი სტარტის შემდეგ ბულგარელმა მეორე წრეში აიწყვიტა, საბოლოო ჯამში მან 6,5 ქულა მოაგროვა და ნახევარი ქულით აჯობა მეორეზე გასულ გატა კამსკის.

ტურნირის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ამერიკელი დიდოსტატი ერთპიროვნულად ლიდერობდა ცხრილს და ქულით უსწრებდა უახლოეს მდევრებს, მაგრამ შემდეგ მეცხრე ტურში მასპინძელთან თეთრი ფიგურებით წააგო და პირველი ადგილიც დაკარგა.

წაგების მიუხედავად, გამარჯვების შანსს იანკი დიდოსტატი ბოლო ტურამდე ინარჩუნებდა, თუმც, როგორც ჩანს, მთავარი ძალები თავიდანვე შემოხარჯა და საბოლოოდ მხოლოდ მეორეობას დასჯერდა.

ბოლო შეხვედრაში ტოპალოვს დიდად არ გასჭირვებია ერთ-ერთ აუტსაიდერ ეტიენ ბაკროს ძლევა. ფიდეს რეიტინგის ლიდერმა თავიდანვე ყოჩაღად შეუტია მეტოქეს, ხეირიანი სვლების გაკეთების საშუალება არ მისცა და 42-ე სვლაზე სძლია.

ტურნირის დასრულებისთანავე ტოპალოვისა და პონომარიოვის გარდა ყველა მოჭადრაკე ტურინის ოლიმპიადაზე გაგრძელებს ასპარეზობას.

ლაზა გეგეჭკორი

1.	ვესელინ ტოპალოვი	6,5 ქულა
2.	გატა კამსკი	6,0
3.	ვიშვანათან ანანდი	5,5
4.	პეტრ სვიდლერი	5,0
5.	ეტიენ ბაკრო	3,5
6.	რუსლან პონომარიოვი	3,5

საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი. იტალია

პირველ ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრები შეხვდა მუნჯების ჭადრაკის საერთაშორისო კომიტეტის ნაკრებს (ICSC), ხოლო ქალთა ნაკრები — ისლანდიას

კაცები

საქართველო 4:0 ICSC

გიგა ყაჭეიშვილი	1:0	ვესელინ გეორგიევი
მერაბ გაგუნაშვილი	1:0	სერგეი სალოვი
თამაზ გელაშვილი	1:0	ამანგელდი ნორიზგალიევი
დავით არუთუნიანი	1:0	ვლადიმირ კოვალენკო

ქალები

საქართველო 3:0 ისლანდია

ნინო ხურციძე	1:0	ლენკა ფტაჩნიკოვა
ნანა ძაგნიძე	1:0	გუდლაუგ სორშშტაინსდოტირი
ლელა ჯავახიშვილი	1:0	გრეტარსდოტირი

თუ ბიჭი ხარ, შეაწუხე

19-20 მაისი

აღმოსავლეთი

პაროლინა 0:1 ბუფალო

კაროლინა 2:3 ბუფალო

1:1 0:1 1:1

0:1 ტილანდერი (3), 1:1 ბრინდამორი (13), 1:2 ბრირი (30), 1:3 მაკი (54), 2:3 კომოდორი (58)

ხშირად ასეც ხდება, ესაა თუ ის ჰოკეისტი სულაც არ გამოირჩევა რეგულარული ჩემპიონატის დროს და მისი სახელი პრესაშიც არ ქუხს, მაგრამ მოდის პლეი ოფი და ბევრისთვის, მათ შორის მეტოქისთვის, მისი გოლები სიურპრიზი ხდება. სწორედ ასეთია ბუფალოელი ჯეი მაკი, თითქოს ერთი რიგითი მცველი, რომელიც ყოველთვის უფრო თავისი პირადი მოვალეობების შესრულებითაა დაკავებული. მაგრამ პლეი ოფში ხომ ყველა გოლს ოქროს ფასი აქვს და თუ შანსი მოგეცემა, რატომ არ უნდა გამოიყენო. და მაკიმაც არ გაუშვა თავისი შანსი, მართალია, მის წინ უამრავი ხალხი იყო, მაგრამ შაიბამ მაინც იპოვა გზა და კარში აღმოჩნდა. სწორედ ეს გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი ამ თამაშში, ვინაიდან „კაროლინამ" დარჩენილ დროში ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, თანაც უმცირესობაში, მაგრამ სტუმრებმა სასურველი შედეგი თავგანწირვით დაიცვეს.

დასავლეთი

ანაჰაიმი 0:1 ედმონტონი

ანაჰაიმი 1:3 ედმონტონი

1:1 0:1 0:1

0:1 პეკა (19), 1:1 მაკდონალდი (20), 1:2 ჰეშმკი (32), 1:3 ჰარვი (60)

ახლა „ედმონტონის" მესვეურებს შეუძლიათ, თავიანთი შორსმჭვრეტელობით იტრაბახონ. როცა „დედლაინზე" გუნდმა მინესოტიდან" მეკარე დუეინ როულსონი შეიძინა, არავინ იფიქრებდა, რომ ის გუნდის საყრდენად იქცეოდა. მაგრამ პლეი ოფში დუეინი შეუცვლელად, მტკიცედ დგას და „ედმონტონში" წამოთაც კი არავის შეჰპარვია ეჭვი, რომ სწორედ ის არის გუნდის №1 მეკარე. აბა, სხვაგვარად როგორ იქნება, თუ კაცი თავის საქმესაც ასრულებს და საგოლე პასებსაც კი იძლევა, თანაც ნაღდ პასებს. პირველ პერიოდში უმცირესობაში როულსონმა უზუსტესი პასით მაიკ პეკა საგოლე პოზიციაზე გაიყვანა და პარტნიორმაც არ დააყოვნა. მართალია, „ანაჰაიმმა" სწრაფად გაათანაბრა, მაგრამ მეორე პერიოდში სტუმრები კვლავ დაწინაურდნენ, ხოლო როულსონმა აღარ გაატანინა მეტოქეს. „სულაც არაა განსაკუთრებული მეკარე, უბრალოდ, უნდა შეაწუხო და კარის სიახლოვეს უფრო მეტი იმოძრაო" — თქვა „ანაჰაიმის" ლიდერმა სკოტ ნიდერმაიერმა. ვნახოთ, როგორ მოახერხებს ამას მისი გუნდი მომდევნო თამაშში.

სამგელ ღარიბიანი

AFP პორტუ ალეგრედან

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP ვიტელიდან

მუნდიალისთვის მზადება, რა თქმა უნდა, გრძელდება. ოღონდ ვინ როგორ, საკითხავი ეგ არის. რონალდინიო მშობლიურ პორტუ ალეგრეში ჩაბრძანდა, ბრაზილიის სამხრეთში, რობერტო კარლოსი კი ამ დროს დედაქალაქშია და თვით ქვეყნის პრეზიდენტს აძლევს ავტოგრაფს. კოტდივუარელი დიდიე დროგბაც ავტოგრაფებს არიგებს, ოღონდ უბრალო ხალხს ურიგებს. გერმანელი ფილიპ ლამი ავტოგრაფებს ვერ არიგებს, რაკი ვარჯიშისას ხელი იტკინა, თუმცა ტრავმა სერიოზული არ არის. რომში კი ქორწილია. ჯვარი დაიწერეს დანიელე დე როსიმ და ტამარა პიზნოლიმ. ქალის პროფესია ჩვენთვის უცნობია.



AFP პულიდან

AFP ბრაზილიიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაპა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00